ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 9 ნოემბერი, 2018 №266 (7811) ფასი: 60 თეთრი

დავით ქაცარავა: „ვდგავართ იმ ხაზზე, სადაც მავთულხლართები უნდა გაავლონ“

გვ.4

რა ხდება ატოცში

„ვაშაძე სააკაშვილს ვერ შეიწყალებს“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა“

გვ.4

გვ.3

სააკაშვილი და უგულავა ჰელსინკში შერიგდნენ

„ისინი ახლა უსირცხვილოდ ეფერებიან ერთმანეთს „ზაპაროჟეცებისა“ და ჟანგიანი ადამიანების ძახილის შემდეგ“

თამაზ მეჭიაური: „ახლა „ოცნებას“ დავეხმარები, მაგრამ „ოცნებაში“ არ შევალ“

გვ.2

„ქუცნაშვილთან ან შესარიგებელი რა მაქვს, ან გასაბუტი – სხვადასხვა განზომილებაში ვართ“

გოგა ხაინდრავა: „600.000-მა მსხვერპლმა მოძალადეს მისცა ხმა“

გვ.5

გვ.3

ნიკა მელია: „დღეს მთელი ქვეყანა მოღალატე ხელისუფლების მიერ არის ოკუპირებული“

რომან გოცირიძე: „ვოლსკის ვაშაძე ყოვლისშემძლე ჰგონია“

„ლარის გაუფასურებაში დამნაშავეა მთავრობა და ეროვნული ბანკი „იაფი ფულის“ პოლიტიკით“

გვ.6

სამართალი

გვ.7

სასამართლოში გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდების მთავარი მოწმე მამუკა ცხოვრებაძე დაკითხეს

დაჭრილი აკაკი გვასალია მანქანით გაქცევას ცდილობდა, როდესაც შეიარაღებული ჯგუფი დაენია

სისხლიანი გარჩევა სენაკის ცენტრში

საქართველოში ირანის მოქალაქემ მეორე ირანელის მკვლელობა 5.000 დოლარად შეუკვეთა

ეკონომიკა

გვ.6

მამუკა ბახტაძე: „არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არის, რომ ლარის დევალვაციას ვხედავდეთ“

თემურ ბასილია: „იმ ბომბზე სხედხართ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს“

„წარმოუდგენელია, ხელისუფლება ქვეყნის მმართველობაში 6 წელი იყოს და ლარის დევალვაცია ოპოზიციას გადააბრალოს“

ISSN 1987-9385

5 გიორგი საგარეიშვილი: „ნაციონალების დაბრუნება არ უნდა დავუშვათ“

6 „კორტების“ მესაკუთრე განცხადებას ავრცელებს

4 რომან კაკულია: „ლარს გამოჯანსაღების გრძელვადიანი პერსპექტივა აქვს“

2 ქეთევან ციხელაშვილი: „ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ, რომ საქართველოს შუაგულში მავთულხლართები დაიშალოს“

თამაზ მეჭიაური: „ახლა „ოცნებას“ დავეხმარები, მაგრამ „ოცნებაში“ არ შევალ“

„ქუცნაშვილთან ან შესარიგებელი რა მაქვს, ან გასაბუტი – სხვადასხვა განზომილებაში ვართ“

შორენა მარსაგიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნებში გამწარებული „ქართული ოცნების“ სცენაზე ის მეოცნებეები დაბრუნდნენ, რომლებიც პარტიამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გვერდზე გასწია. მათი ჩაჩოჩების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ისინი განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებდნენ ნაციონალების მიმართ.

ამ მიზეზით იქნა ჩაჩოჩებული „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური. „პრადვინუტი“ ქოცების გამოისობით ივანიშვილის კურსელმა „ოცნება“ დატოვა.

ის ამის გამო ძალიან გაბრაზებულია, მაგრამ მზადაა, ბიძინა ივანიშვილს დაუდგეს გვერდით, რომელმაც ცოტა ხნის წინ ძველ გვარდიას დაბრუნებისკენ მოუწოდა.

აიძულებს თუ არა თიანელებს სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას, როგორ აპირებს „ოცნებასთან“ თანამშრომლობას, შეურიგდება თუ არა ზაქარია ქუცნაშვილს? – ამის შესახებ თიანეთის მერი **თამაზ მეჭიაური** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ბიძინა ივანიშვილმა ძველ გვარდიას მხარდაჭერისკენ მოგიწოდათ. აპირებთ თანაკურსელისა და ყოფილი თანაპარტიელის მხარდაჭერას?

– მე ბიძინა ივანიშვილის მოწოდებამდეც დავუჭირე „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატს მხარი პირველ ტურში. შემეძლო, უფრო აქტიურადაც მემუშავა ამ კანდიდატზე და რადგან ახლა ბიძინამ მოგვიწოდა მხარდაჭერისკენ, მეორე ტურისთვის უფრო აქტიურად ჩავერთვები.

– აქტიურად ჩართვაში რას გულისხმობთ?

– შვებულებას ავიღებ და ჩვენს რეგიონში ვიმუშავებ. ვთხოვ მოსახლეობას, მხარი დაუჭირონ „ოცნების“ კანდიდატს. უავტორიტეტო კაცი არ ვარ და რაღაც შედეგს მოვიტან.

– დეპუტატი ემზარ კვიციანი ამტკიცებს, რომ ძალიან მაღალი ავტორიტეტი გაქვთ. მისი თქმით, ივანიშვილს თქვენი კანდიდატურა რომ წამოეყენებინა საპრეზიდენტო არჩევნებში, „ოცნება“ პირველივე ტურში გაიმარჯვებდა.

– ემზარი ჩემი ძმაკაცია და, ეტყობა, ჩემზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. რაღაცაში მართალია ჩემი ძმობილი, ზოგიერთებზე მეტ ხმას ნამდვილად მოვაგროვებდი.

– თქვენ მზად ხართ, დაეხმაროთ „ოცნებას“, მაგრამ, ჟარგონზე რომ ვთქვათ, არ გაგიტყდათ, მხოლოდ მას შემდეგ რომ დაგიძახეს, როცა გაუჭირდათ?

– აქ გასატეხი არაფერი არ არის. ადამიანს გაჭირვებაში უნდა დაუდგე გვერდით. მეც მზად ვარ დასახმარებლად.

– 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე დიდი ომი გქონდათ „ოცნების“ კანდიდატთან. ბევრი ცუდი რამ მოხდა იმ დღეებში თქვენ გარშემო. ეს დაივიწყეთ?

– გეთანხმებით, ბევრი ცუდი რამე მოხდა არჩევნების დღეს. ყველაზე ცუდი იყო ის, რომ სპეცდანიშნულების რაზმი შემოიყვანეს. ეს, რა თქმა უნდა, ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივა იყო.

– მხოლოდ ქუცნაშვილი სპეცრაზმის შეყვანის საკითხს ვერ გადაწყვეტდა.

– ინიციატივა ნამდვილად მისი იყო. სპეცრაზმის შემოყვანის საკითხი მაღლა გადაწყდა.

– რამდენად მაღლა?

– მთლად მაღლა არა, სადმე ქუცნაშვილთან ახლოს.

– გამორიცხავთ, რომ ამაში ივანიშვილიც იყო გარეული?

– გამოვრიცხავ, ივანიშვილი ამაში არ ჩაერეოდა. მე უფრო პირიქით მგონია.

– რა გგონიათ პირიქით?

– როდესაც მან დაინახა, რომ ჩემ წინააღმდეგ უსამართლო ბრძოლა გაჩაღდა, „ოცნებას“ სამართლიანობის დაცვისკენ მოუწოდა.

– ამის შესახებ ვინმემ გითხრათ რამე?

– არა, მაგრამ მგონია, რომ ასე იქნებოდა. არჩევნების შემდეგ ჩემი საქმე 5 სხვადასხვა ინსტანციაში გაირჩა და ყველამ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

დღეს ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ეს რაღაცნაირად ბიძინას ბრალიც არის.

– რატომ არის მისი ბრალი?

– თვითიზოლაციაში მოიქცევს ხოლმე თავს და ამით მერე ვიღაცები ცუდად სარგებლობენ.

შექმნილ მძიმე სურათზე მთელი პასუხისმგებლობა კი მის გარემოცვას ეკისრება. ბედის ირონიით, მის გვერდზე საეჭვო ხალხი მოხვდა. ეს ყველას არ ეხება. ამ საეჭვო ადამიანებმა ბიძინას ნდობით ბოროტად ისარგებლეს.

არჩევნების მოგებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ის გაემიჯნა ხელისუფლებას და ქვეყნის მართვა სხვებს გადააბარა. მას პარტიაშიც კი აღარ ჰქონდა არანაირი თანამდებობა.

ამის შემდეგ „ოცნებაში“ ბევრი რამე შეიცვალა. მასთან შეხვედრა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ივანიშვილთან წვდომა ძალიან ვიწრო წრეს ჰქონდა მხოლოდ. გამომდინარე აქედან, მისი ინფორმირებულობა ამ ვიწრო წრის კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. ეს ადამიანები, სამწუხაროდ, ბოლომდე კეთილსინდისიერები არ აღმოჩნდნენ.

– ვიწრო წრე ივანიშვილს არასწორ ინფორმაციებს აწვდიდა?

– პირველ ტურამდე მას ორი გამოსვლა ჰქონდა. იქ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ის არასწორად იყო ინფორმირებული.

– რით გამოიხატა მისი არასწორად ინფორმირებულობა?

– ზოგ საკითხებთან მიმართებით ზედმეტად თავდაჯერებული იყო, ზოგ საკითხთან მიმართებით არაპოპულარული ხედვა ჰქონდა.

28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მეორე უკიდურესობაში გადავვარდით. მან ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად გაიაზრა, შეცდომების აღიარების ვაჟკაცობაც ეყო.

– ეს გულწრფელი აღიარება იყო თუ მეორე ტურისთვის სჭირდებოდა?

– დარწმუნებული ვარ, რომ გულწრფელი იყო. მან, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს ბოდიში მოუხადა, ძველ გვარდიასაც მოგვიწოდა დაბრუნებისკენ. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც მერკანტილური რაღაცებისგან შორს არის.

ჩვენ რომ ყოველგვარი ცუდისგან შორს ვართ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ძალიან იოლად ჩამოგვიშორა იმ ხალხმა, ვინც მერკანტილური ინტერესებით მოხვდა მის გარემოცვაში.

– ისე, რატომ ჩამოგიშორეს? თქვენ, ომარ ნიშნიანიძე და სოსო ჯაჭვლიანი ხალხს უყვარდით, უყვარდით იმიტომ, რომ სულ ნაციონალებს უპირისპირდებოდით.

– ნაციონალების გარდა, რესპუბლიკელებთანაც გვქონდა უთანხმოება. პირადად მე რესპუბლიკელების მსოფლმხედველობა არ მომწონდა.

ჩამოგვიშორეს და ჩამოგვიშორეს, რა ვუყოთ. გამოჩნდა, თუ ვინ იყო მართალი. ახლა ჩვენ გუნდმა დაგვიძახა. პირველი ტურის მერე მე ისედაც ვაპირებდი „ოცნებისთვის“ მხარის დაჭერას.

– ივანიშვილს მოწოდება რომ არ გაეკეთებინა, მაინც?

– რა თქმა უნდა. ხომ გითხარით, პირველ ტურშიც სალომე ზურაბიშვილს მივეცი ხმა.

– „ოცნებაში“ თქვენი ნათესავი და, ამავე დროს, დაუძინებელი მტერი ზაქარია ქუცნაშვილია. ბიძინას დაძახილის შემდეგ თქვენ და ზაქარიაც ხომ არ შერიგდებით?

– ვინ არის „ოცნებაში“ ზაქარია ქუცნაშვილი? რანაირად არის „ოცნებაში“. მან საჯაროდ და ღიად განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას არ უჭერს მხარს.

– როდის და სად თქვა ასეთი რამე?

– ასეთი განცხადება პირველი ტურის წინ გააკეთა. ასე რომ, მას მეოცნებედ არ მივიჩნევ.

– არჩევნების შემდეგ გაკეთებული განცხადებებით თითქოს ზურაბიშვილს უჭერს მხარს.

– შეიძლება ისევ შეიცვალა აზრი. პირველი ტურის წინ ღიად ამბობდა, რომ სალომეს მხარს არ დაუჭერდა. ასე რომ, ქალბატონმა სალომემ გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა მას თავის გუნდში.

– აშკარაა, რომ ქუცნაშვილს „ოცნების“ წევრად არ თვლით და არც მასთან შერიგებას უნდა აპირებდეთ.

– მაგასთან ან გასაბუტი რა მაქვს, ან შესარიგებელი – სხვადასხვა განზომილებაში ვართ.

– ბევრი ძველი გვარდიის დაბრუნებას სკეპტიკურად უყურებს. თქვენი აზრით, ძველების დაბრუნების შემდეგ „ოცნებაში“ რა შეიცვლება?

– ბევრი რამე. მგონია, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩვენ, ძველ გვარდიას, გვჯერა, რომ ივანიშვილი თავის დაპირებას ერთ წელიწადში შეასრულებს. თუ ეს დაპირება არ შესრულდა, ღიად ჩავერთვებით საპარლამენტო არჩევნებში, ახლა კი ანგარიშსწორების დრო არ არის.

ერთი მხრივ, შეიძლება კარგიც კი არის, მეორე ტურიც რომ ჩატარდება. ამან პარტია გამოაფხიზლა. ბიძინამ თვითკრიტიკულად შეხედა სიტუაციას და პირადად დაინტერესდა, რა ხდება მის ირგვლივ.

სალომე ზურაბიშვილს პირველივე ტურში რომ მოეგო არჩევნები, მაშინ ბიძინას შეიძლება არც კი გამოეჩინა ინტერესი, რა ხდებოდა მის პარტიაში. ახლა ის უფრო ფხიზლად იქნება. უფრო ფხიზლად იქნება თავად ხელისუფლებაც.

ეს სიფხიზლე შეიძლება ვიღაცებს ძვირად დაუჯდეთ, მაგრამ, ვისაც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთება უნდოდა, მისთვის უკეთესი იქნება.

– ძველი გვარდია სულ დაბრუნდით „ოცნებაში“ თუ დროებით, არჩევნებამდე?

– სხვების რა მოგახსენოთ, არჩევნების მერე მე ჩემს გზას ვიპოვი. ჩემი პარტია მაქვს და ამ მიმართულებით ვიმუშავებ. მინდა იცოდეთ, რომ არც „ოცნებაში“ ვბრუნდები. ჩემი ნაბიჯი არის გვერდში დგომა. დღეს ქვეყანა სერიოზული არჩევანის წინაშე დგას. მიმაჩნია, რომ ხალხმა „ოცნებას“ უნდა დაუჭიროს მხარი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ წარმატებას მიაღწიონ.

„ოცნების“ გამარჯვება ჩემთვის არ მინდა. სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება იქნება.

დანარჩენი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად იმუშავებს ხელისუფლება. მალევე ვნახავთ, არჩევნების მოგების შემთხვევაში თვითკმაყოფილებას მიეცემიან თუ რეალურ დასკვნებს გამოიტანენ.

ბიძინას დიდ პატივს ვცემ, ჩვენ თანამებრძოლები ვიყავით. კურსელობაც ბევრ რამეს ნიშნავს ჩემთვის, მაგრამ მთავარი მაინც სახელმწიფო ინტერესებია. ამ ინტერესებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილმა უნდა გაიმარჯვოს.

– თქვენ ხართ თიანეთის მერი და ამბობთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა უნდა გაიმარჯვოს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამ კანდიდატის სასარგებლოდ ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებთ?

– არავითარ შემთხვევაში, ეს გამორიცხულია. ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მიკადრია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ წინააღმდეგ სულ იყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსს.

თიანეთის მერია არის ძალიან ჭრელი. აქ არიან „ოცნება“, ბურჯანაძის პარტია, ნაციონალები, პატრიოტთა ალიანსი. მე არავის არაფერს ვაიძულებ. პირველ ტურშიც ღიად ვუჭერდი მხარს სალომე ზურაბიშვილს, მაგრამ არავისთვის მომითხოვია, ასე და ასე მოიქეცით-მეთქი.

ქეთევან ციხელაშვილი: „ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ, რომ საქართველოს შუაგულში მავთულხლართები დაიშალოს“

– ყველა ბერკეტს ვიყენებთ და გამოვიყენებთ მომავალშიც იმისთვის, რომ პროცესი შეჩერდეს და დაიშალოს ეს მავთულხლართები საქართველოს შუაგულში, – ასე გამოეხმაურა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი სოფელ ატოცში მიმდინარე მოვლენებს.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ის პირადად იმყოფებოდა და ადგილზე გაეცნო ვითარებას.

– პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ პოზიციას, რომელიც აქვს სახელმწიფოს, რომ ჩვენ არ ვაპირებთ შევეგუოთ არც ძველ და არც ახალ მავთულხლართებს და, ბუნებრივია, ყველა ბერკეტი ამოქმედებულია. აღნიშნულ ბერკეტებს მომავალშიც გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ეს პროცესი შეჩერდეს და დაიშალოს მავთულხლართები საქართველოს შუაგულში. მავთულხლართების ამ პოლიტიკას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია.

ჩვენი პარტნიორების მხრიდანაც გაკეთდა ძალიან ცალსახა შეფასებები. საქართველოში სტუმრად მყოფი ბრიტანეთის ევროპულ საკითხებში მინისტრი ალან დუნკანი ეხმაურება მომხდარს და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ უნდა დაიშალოს ეს მავთულხლართები. მიუღებელია მთლიანად ცივილიზებული მსოფლიოსათვის ის ხელოვნური ბარიკადები, რომელსაც რუსეთი 2008 წლიდან მოყოლებული აშენებს და ეს პოზიცია არის ერთსულოვანი. ჩვენ კონკრეტული ნაბიჯებითა და ქმედებებით ვუპირისპირდებით ამ პოლიტიკას. ჩვენი პასუხია მეტი განვითარება, მეტი პროგრესი, – განაცხადა ციხელაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნიკა მელია: „დღეს მთელი ქვეყანა მოღალატე ხელისუფლების მიერ არის ოკუპირებული“

„ოკუპაციის თემაზე საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა მოღალატეობრივია“

იაგო ნაცვლიშვილი

რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიაზე მცოცავ ოკუპაციას აგრძელებენ. ოკუპანტებმა ე.წ. მავთულხლართების გავლება ამჯერად ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ატოცთან დაიწყეს. ეს ინფორმაცია 7 ნოემბერს გავრცელდა. სოფელ ატოცთან ოკუპანტებმა ე.წ. საზღვრის გავლება დაიწყეს. ხალხის კუთვნილი სახნავ-სათესი მიწის ნაწილი მოექცა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო ვერ აკონტროლებს.

ატოცს ოსური სოფელი ბალთა ესაზღვრება. აქედან კი გზა ზნაურის მიმართულებით გადადის. ზუსტად ამ გზაზე მოძრაობენ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები. საოკუპაციო ხაზის გავლების შედეგად ადგილობრივმა მოსახლეობამ 30 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი მიწა დაკარგა.

რამდენად ადეკვატურია საქართველოს ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ **ნიკა მელიას** ესაუბრა:

– საკმაოდ მძიმე ვითარებაა სოფელ ატოცში. რუსი ოკუპანტები ისევ აგრძელებენ ოკუპაციის პროცესს. როგორია ამ თემაზე თქვენი შეფასება?

– საკმაოდ მძიმე ვითარებაა. სამწუხაროდ, გრძელდება ის, რაც წლებია, მიმდინარეობს. არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ ახალი. სამწუხაროდ, ნორმად იქცა რუსი ოკუპანტების მხრიდან მსგავსი ქმედებების განხორციელება. ორმაგად საწყენია, როდესაც ის, რაც წლების განმავლობაში იყო პრობლემა, კიდევ უფრო ღრმავდება, რომელიც უკავშირდება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას.

საერთაშორისო დღის წესრიგიდან საერთოდ გააქრეს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემატიკა, ანუ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა, ბუნებრივია, რომ ჩვენ გვაქვს, მაგრამ აქ შესაძლებლობის მინიმუმსაც კი აღარ აკეთებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და ეს აისახება ოკუპანტ ძალებში, რაც გამოიხატება მათი მხრიდან კიდევ უფრო მეტი თავხედობით.

– 7 ნოემბერს ჩავიდნენ ადგილზე დავით ზალკალიანი და ქეთევან ციხელაშვილი. ეს არ არის საკმარისი? ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა თუნდაც პარლამენტის ტრიბუნიდან ამაზე უფრო მძლავრი განცხადებები?

– გასაგებია, რომ ჩავიდნენ. ცხადია, ეს საკმარისი არ არის. არა მარტო პარლამენტის ტრიბუნიდან, არამედ საერთაშორისო დონეზე ყველა ფორმატში, სადაც საუბარი იყო ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ძალებზე, იქ აღარ ისმის საქართველოს ხმა, ჩვენი ხელისუფლების ხმა. ეს ხმა არ ისმის საერთაშორისო არენაზე და, რა თქმა უნდა, ამას მოჰყვებოდა და მოჰყვა კიდეც ძალიან სერიოზული უკუშედეგი. ყველაფერს ჰქონდა უარყოფითი ეფექტი.

ამიტომ შემთხვევით კი არ არის მოტანილი ის მოსაზრებები, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რიგ მაღალი თანამდებობის პირებზე და მათ ვუწოდებთ ანტისახელმწიფოებრივ პირებს. მოღალატეობრივია დღეს ის ქმედება, უფრო სწორად კი უმოქმედობა, რომელსაც ამ საკითხთან მიმართებით ხელისუფლება ახორციელებს.

ბუნებრივია, მარტო პოსტფაქტუმ შემთხვევის ადგილზე ჩასვლა საქმეს არ შველის. უზარმაზარი სამუშაო მანამდეა ჩასატარებელი. სამუშაო უნდა ჩატარდეს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, ვინაიდან ეს თემა უნდა იყოს უპირველესი და პრიორიტეტული ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან საუბრის დროს. ეს ყველაფერი არათუ აღარ მიმდინარეობს, არამედ საერთოდ გააქრეს დღის წესრიგიდან.

– „ქართული ოცნება“ ამას შეგნებულად აკეთებს?

– მე მგონი, საკმარისად გავეცი ამ კითხვას პასუხი. რა თქმა უნდა, ეს არის შეგნებული ქმედება.

– ცოტა ხნის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასანმა განაცხადა, რომ საქართველო ჩართულია რუსეთის მიმართ მტრულ პოლიტიკასა და ნატოს რუსეთის შეკავების სტრატეგიაში.

– გასაგებია. რაზე ვსაუბრობთ, ხალხო?! ეს ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ არის!

– დაინახეთ თუ არა იმ განცხადებაში რუსეთის მხრიდან მუქარა?

– არაფერი ახალი არ ხდება 2018 წელს იმასთან შედარებით, რაც ხდებოდა 2013 წელს, 2014 წელს, 2015 წელს, 2016 წელს თუ 2017 წელს. რატომ გიკვირთ იმ უმოქმედობისა თუ მაღალი თანამდებობის პირების (საქართველოს ხელისუფლების) განცხადებები, რომლებიც კეთდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ეს ადამიანები მჭიდროდ თანამშრომლობენ პუტინის რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან.

„გაზპრომის“ კერძო აქციონერი ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ, რისი დასტურიც არის სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატობაც. ეს არის და ეს.

– სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილმაც გააკრიტიკა ხელისუფლება ამ საკითხზე მსუბუქად და თქვა, რომ გასააქტიურებელია მუშაობა ევროკავშირის მისიასთან და ამერიკელ პარტნიორებთან.

– კი ბატონო. თუ გაქვთ შემდეგი კითხვა, გიპასუხებთ.

– ბოლოს გვითხარით, ერთადერთ გამოსავალს საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიურ თანამშრომლობაში ხედავთ თუ სხვა ბერკეტებიც აქვს ქართულ მხარეს?

– რა თქმა უნდა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია. დღეს ჩვენი ქვეყნის 20% არ არის ოკუპირებული, მთლიანად ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიაა ოკუპირებული ამ მავნებლური და მოღალატეობრივი ხელისუფლების მიერ. ამიტომ ამ ხელისუფლების პირობებში ჩვენ გვქონდეს ილუზია, რომ საერთაშორისო არენაზე ისინი წარმოაჩენენ და დაიცავენ სასიცოცხლო ინტერესებს, რა თქმა უნდა, ფუჭი იმედია.

სააკაშვილი და უგულავა ჰელსინკში შერიგდნენ

„ისინი ახლა უსირცხვილოდ ეფერებიან ერთმანეთს „ზაპაროჟეცებისა“ და ჟანგიანი ადამიანების ძახილის შემდეგ“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილმა ხელისუფლებამ „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს ცხვარი და ოციანი უნდა უკისროს – მათი წყალობით, მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაციონალური მოძრაობა კვლავ გაერთიანდა.

რამდენიმე მამალი ნაცი „ოცნებაში“ ჯერ ისევ რჩება, მაგრამ, თუ მეორე ტურში არჩევნები გრიგოლ ვაშაძემ მოიგო, ნაცმოძრაობისთვის გუნდრუკის კმევას მათ ვერავინ მიასწრებს.

მარტივ მამრავლებად დაშლილი პარტიის აღდგენა 28 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო. ნაცმოძრაობას მეორე ტურში თანადგომა ჯერ „ევროპულმა საქართველომ“ აღუთქვა, მოგვიანებით მათ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეც შეუერთდა.

არადა, არჩევნების წინ ევროპული ნაცებიც და გირჩიც სააკაშვილის პარტიას სულ მიწას აყრიდნენ.

„ევროპულმა საქართველომ“ ქოქოლის ყრა არჩევნების შემდეგაც გააგრძელა. რამდენიმე დღის წინ გრიგოლ ვაშაძემ სახლში მიაკითხა ირაკლი ოქრუაშვილს. როგორც ვაშაძე ამბობს, მათ შორის მამაკაცური საუბარი შედგა. ეს მამაკაცური საუბარი სასაცილოდ არ ეყო უგულავას და ერთი კაი პასკვილიც გამოაცხო, რომელსაც მეოცნებეები სოციალური ქსელით აქტიურად აფრიალებდნენ.

მათ მიერ გიგის განცხადებების ფრიალი ნაადრევი გამოდგა. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ჰელსინკში ჩააკითხა მიხეილ სააკაშვილს და დიდი შერიგებაც გაფორმდა.

არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინ უგულავა მიხეილ სააკაშვილს ჯართს უწოდებდა, ახლა კი ამაყად ყელყელაობს მის გვერდით. დაბოღმილი მეოცნებეები გამწარებული კითხულობდნენ, ნეტა რა გრძნობა დაეუფლა უგულავას, ჯართს რომ ჩაეხუტაო.

მათგან განსხვავებით, სააკაშვილსა და უგულავას ჯართის თემა საერთოდ აღარ ახსოვდათ. მათ გუგულებივით მშვიდად ისაუბრეს. მათი საუბრის მთავარი თემა საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

– მნიშვნელოვანია, რომ ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე ვხვდებით, იმიტომ რომ ევროპის სახალხო პარტიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა „ევროპული საქართველოსა“ და ნაციონალური მოძრაობის დაახლოებაში, საერთო პლატფორმის შექმნაში.

მე გიგის მადლობა ვუთხარი მართლა ძალიან მაგარი პოზიციის გამოხატვისთვის, ახლა რაც გააკეთეს გიგიმ და სხვა ლიდერებმა, არის ახალი პოლიტიკური კულტურის ბოლომდე დამკვიდრება საქართველოში. მათ ჰყავთ ძალიან ბევრი აქტივისტი, მათ ჰყავთ ძალიან ბევრი გულწრფელი მომხრე და ყველანი მივხვდით, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ ვართ ერთი ოჯახი, ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, ჩვენ გვაქვს ერთი სამიზნე, ჩვენ გვყავს ერთი მტერი და ჩვენ გვაქვს ჩვენი ქვეყანა გადასარჩენი. ახალი ერთობა იქმნება, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ეს ორი პარტია, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ჩვენი ურთიერთობებია, – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ სააკაშვილმა.

გიგი უგულავას არ განუმარტავს, ისევ ჯართად მიიჩნევს თუ არა ყოფილ ლიდერს, სამაგიეროდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გრიგოლ ვაშაძე პრეზიდენტი უნდა გახდეს.

– გრიგოლ ვაშაძე უნდა გახდეს პრეზიდენტი და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ რიგგარეშე პროპორციული არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში, იმიტომ რომ რეალური ძალა აქვს პარლამენტს.

ქვეყნის დეოლიგარქიზაცია ახლა უნდა დაიწყოს საპრეზიდენტო არჩევნებით. შემდეგ უკვე რეალური ძალაუფლება უნდა განსაზღვროს ხალხმა, იმას უნდა მიანიჭოს, ვისაც ეს ეკუთვნის, ანუ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ხალხი აირჩევს თავის მთავრობას, – განაცხადა უგულავამ შეხვედრის შემდეგ.

განცხადება გააკეთა „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამაც. მისი თქმით, ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ ერთი ამოცანა, სალომე ზურაბიშვილის დამარცხება აქვს.

– „ევროპულ საქართველოს“, ნაციონალურ მოძრაობასა და მთელ ქართველ საზოგადოებას დღეს ერთი ამოცანა გვაქვს – სალომე ზურაბიშვილის დამარცხება და ივანიშვილის რეჟიმის მშვიდობიანად და არჩევნების გზით გაშვება. ამას სჭირდება მეორე ტურში გრიგოლ ვაშაძის გამარჯვება, რასაც საარჩევნო რეფორმა და პროპორციულ სისტემაზე გადასვლა უნდა მოჰყვეს, რათა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდეს ისეთი ძალაუფლება, როგორიც ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას ვარდების რევოლუციის შემდეგ და მით უმეტეს – ივანიშვილს დღეს. ეს თქვა გიგი უგულავამ და ეს პოზიცია არაერთხელ დავიკავეთ საჯაროდაც. ამის შემდგომ „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა კვლავ ოპონენტები იქნებიან, ერთმანეთში კონკურენციას გააგრძელებენ და შემდეგ ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტს, ვინ იქნება ხელისუფლებაში და ვინ – ოპოზიციაში.

ეს პოზიცია საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან იყო ცნობილი – ჩვენ კონკურენტები და ოპონენტები ვართ, მაგრამ ეროვნული ამოცანა გვაქვს, რომ ივანიშვილის რჩეული კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი დავამარცხოთ. ეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ამისთვის ვუჭერთ მეორე ტურში მხარს გრიგოლ ვაშაძეს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ნაცებისა და ევრონაცების ჩახუტება „ოცნებას“ შეუფასებელი არ დაუტოვებია. ყველაზე ხატოვნად ეს ფაქტი თბილისის მერმა კახა კალაძემ შეაფასა, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში თავად იყო ნაციონალების მგზნებარე ქომაგი.

– ეს ერთი გუნდია. ერთიან კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ ისინი. მათ ჰქონდათ გარკვეული მცდელობა, თითქოს კონსტრუქციულები იყვნენ, დემოკრატიულობას თამაშობდნენ, თუმცა მე ვთქვი რამდენიმე ხნის წინ, უფრო სწორად რომ გამომივიდეს ნათქვამი და სწორად რომ აღიქვას ხალხმა, ეს არის ერთი გამხმარი ხის ორი ტოტი, – აღნიშნა გახმობამდე ამ ხიდან მოტეხილმა ტოტმა, ამჟამად „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახი კალაძემ.

„ოცნების“ კიდევ ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი სააკაშვილისა და უგულავას შეხვედრით გულდაწყვეტილია და ამბობს, რომ ნაცები და ევრონაცები ერთმანეთს უსირცხვილოდ ეფერებიან.

– ეს ადამიანები გულწრფელები არასოდეს იყვნენ, ყოველთვის კონიუნქტურით ხელმძღვანელობდნენ. თუ მათ რიტორიკას დააკვირდებით, იგივეა 7 ნოემბრამდე და მას შემდეგ. ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ყოფნის რიტორიკა იგივე აქვთ, ისევ მტრებზე საუბრობენ. თუ ქართველი ხალხი მტერია, მტერი ნიშნავს, რომ გაანადგურო და მოკლა.

მათ შორის არსებით ცვლილებებს ვერ ვხედავ. გული მწყდება იმაზე, რომ ვილაცის გათვლა, რომ ნაციონალური მოძრაობის ორად გაყოფა ორივე ფრთის დასუსტებას გამოიწვევდა, მცდარი აღმოჩნდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – დაუბრუნდნენ საერთო ოჯახს და ახლა უსირცხვილოდ ეფერებიან ერთმანეთს „ზაპაროჟეცებისა“ და ჟანგიანი ადამიანების ძახილის შემდეგ, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

დავით ქაცარავა: „ვდგავართ იმ ხაზზე, სადაც მავთულხლართები უნდა გაავლონ“

რა ხდება ატოცში

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი **დავით ქაცარავა** პასუხობს.

– ბატონო დავით, ჯერ კიდევ როდის საუბრობდით ჩვენთან ინტერვიუში, რომ ატოცთან შეინიშნებოდა ოკუპანტების აქტიური მოქმედებები. დღეს კი უკვე მავთულხლართებია გავლებული. რა სიტუაციაა დღეს ატოცში?

– ორი დღის წინ ოკუპანტებმა დაიწყეს ბოძების დამონტაჟება. დღეის მდგომარეობით, 148 ბოძი აქვთ დამონტაჟებული, თითო ბოძი 2,5 მეტრის დაშორებით ერთმანეთისგან. უკვე 300 მეტრზე მეტი პერიმეტრი მოიცვეს. მიმდინარეობს ბოძების დამონტაჟების პროცესი. როგორც მათ აქვთ დაანონსებული, ერთი კილომეტრი უნდა მოაქციონ მავთულხლართებში.

– კვლავაც გრძელდება მავთულხლართების გავლების პროცესი?

– ეს დამონტაჟება მიმდინარეობდა გუშინწინ და გუშინ და დღეს ჯერჯერობით არ გამოსულან სამუშაოდ. არ ვიცი, რას დავაბრალო. მათ გეგმური სამუშაო ჰქონდათ ჩასატარებელი და იმის ნაცვლად, რომ აქ საინჟინრო დანაყოფი გამოსულიყო, ჩვენთან მოსული იყვნენ ოფიცრები, ე.წ. დაკავების ჯგუფი, რომელიც იტაცებს ხოლმე მოქალაქეებს.

მოსული იყვნენ საოკუპაციო ხაზთან და ჩვენ შორის შედგა კომუნიკაცია. მათ მოისმინეს ჩვენი მიმართვა, ჩაიწერეს ეს ყველაფერი და ყოველგვარი განმარტებების გარეშე დატოვეს ტერიტორია.

– დაახლოებით რა მანძილით გადმოიწიეს?

– 30 ჰექტარი მიწა აქვთ მიტაცებული. მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწები მოჰყვა ამ მავთულხლართებში. ისინი ფიზიკურად ვეღარ გავლენ, შემოდგომის მოსავალს ვერ აიღებენ. ამ ხალხს დამუშავებული ჰქონდა მიწის ნაკვეთები და მათი მიწები მოხვდა ამ საოკუპაციო ზონაში. დაზარალდა ადგილობრივი მოსახლეობა და ის ქმედება, რომელსაც ჩვენ მცოცავ ოკუპაციას ვეძახით, გრძელდება. საბედნიეროდ, დღეს აქ არავინ მოსულა.

– რატომ, რას მოერიდნენ ოკუპანტები?

– არ ვიცი, რის ხარჯზე. აქ შეკრებილი არიან სამოქალაქო აქტივისტები. აქ არის პოლიციაც. ჩვენ ზუსტად იმ ხაზზე ვდგავართ, რომელზეც უნდა გაავლონ მავთულხლართები და, შესაბამისად, მათთვის ეს უდიდესი დისკომფორტის შემქმნელია. ბუნებრივია, ისინი მოერიდნენ ამ დისკომფორტს. არც ერთი საინჟინრო დანაყოფი არ გამოჩენილა, რომელსაც ავალია ამ ხაზის გავლება.

შესაბამისად, ჩვენ ვაპირებთ ამ პატრულირების გაგრძელებასა და ხელის შეშლას ამ პროცესისთვის მანამ, სანამ ჩვენი რესურსი, ფინანსური თუ ადამიანური, გვეყოფა, რომ 24-საათიან რეჟიმში აქ ვიყოთ და არ გავავლებინოთ მავთულხლართები.

– რას ამბობს ადგილობრივი მოსახლეობა, თუ დგანან თქვენ გვერდით?

– მოსახლეობა საკმაოდ შეშინებულია, თუმცა მათ ეიმედებათ, რომ მარტო არ არიან დარჩენილი ოკუპანტების პირისპირ. ჩვენც ვცდილობთ, ეს იმედი გავუმყაროთ, მათ გვერდით ვიყოთ და ვიბრძოლოთ მათთან ერთად ჩვენი მიწებისთვის, რომლებსაც რუსი ოკუპანტები იტაცებენ.

– ქეთევან ციხელაშვილიც იმყოფებოდა ატოცში. როგორია ხელისუფლების პოზიცია?

– ციხელაშვილი გუშინ იყო აქ ჩამოსული. მან დააფიქსირა, რომ ხელისუფლებამ და სახელმწიფომ უნდა ვიბრძოლოთ ქვეყნის დეოკუპაციისთვის ყველა მშვიდობიანი ხერხით. მან დააფიქსირა ეს პოზიცია და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა.

მე ვფიქრობ, რომ ზუსტად ამ ხაზზე, ატოცში, სადაც რუსი ოკუპანტები აქტიურ მოქმედებას ახორციელებენ, ყოველდღე უნდა იყვნენ დეპუტატები, მაღალი რანგის პოლიტიკოსები, პარტიები და ასე შემდეგ, იმიტომ, რომ ამ აქტივობით შევძლებთ, ვანახოთ ოკუპანტს, რომ ჩვენი გადაწყვეტილება, დავიცვათ ჩვენი მიწა, არის მტკიცე!

დიახ, ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი ხერხებით, დავდგებით ხაზზე და, დარწმუნებული

ვარ, ვერ გაბედავენ შეუიარაღებელი ხალხისთვის სროლას. აი, ასე შეგვიძლია საკუთარი მიწაწყლის დაცვა. თუმცა ამისთვის საჭიროა მთლიანი საზოგადოების აქტიურობა.

– ატოცი ქარელის რაიონს ეკუთვნის. ის არასდროს ყოფილა ოსებით დასახლებული. ამის მიუხედავად, მაინც გვართმევენ.

– დიახ, ქარელის რაიონს ეკუთვნის სოფელი ატოცი. ოკუპანტები მიჰყვებიან მათთვის ცნობილ რუკებს, სადაც ადმინისტრაციული საზღვარი იყო დაფიქსირებული 1978-88 წლებში სამხედრო რუკებში და ამ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრებს მიჰყვებიან.

სად როგორ აწყობთ, საზღვრებსაც ისე აწესებენ. არაფერს ერიდებიან, დამატებით თუ რამის მიტაცება შეიძლება, ყველაფერი მიაქვთ. ადამიანების გატაცებას რაც შეეხება, ამ წლების განმავლობაში 3 ათასი კაცია გატაცებული საოკუპაციო რეჟიმის მიერ.

ახლა, როდესაც თქვენ გესაუბრებით, ზუსტად იმ ხაზზე ვდგავარ, სადაც უნდა გაატარონ მავთულხლართები. ჩვენ მზად ვართ, ვიდგეთ აქ ბოლომდე და არ მივცეთ საშუალება, გააკეთონ თავიანთი ბინძური საქმე.

„ვაშაძე საპატიმროს ვერ შეიწყალებს“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის ვადებსა და პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებზე საუბრობს.

– ბატონო ავთანდილ, მეორე ტურის თარიღთან დაკავშირებით ბევრი ინსინუაციაა. როდის ინიშნება მეორე ტური?

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე ინიშნება.

– სამუშაო დღეს თუ ინიშნება?

– თუ შედეგები ორშაბათს გამოცხადდა, ორი კვირის თავი ნიშნავს, რომ მესამე ორშაბათს უნდა ჩატარდეს. არჩევნების პირველი ტური ინიშნება მხოლოდ კვირა დღეს. ეს გარკვევით არის განსაზღვრული.

– გამოდის, კოდექსში არსებული ჩანაწერი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა.

– დიახ, ინტერპრეტაციის საფუძველს ნამდვილად იძლევა, მაგალითად, თუ შედეგები არასამუშაო დღეს გამოცხადდა, ათვლა მაინც ორი კვირის თავია. ამიტომ აქ მთავარია, როდის გამოაცხადებს ცესკოს თავმჯდომარე საბოლოო შედეგებს.

– ბატონო ავთანდილ, არჩევნები, რომელიც არ განსაზღვრავს პოლიტიკურ ძალთა ბალანსს, არ განსაზღვრავს, თუ ვინ არის ოპოზიციაში და ვინ – ხელისუფლებაში, რატომ გახდა ასეთი დაპირისპირების საფუძველი?

– იმიტომ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა. საუბარია სახელმწიფოში პირველ პირზე. ამ ტიპის პრეზიდენტს შეუძლია გარკვეული პოლიტიკური კლიმატის შექმნა საზოგადოებაში. მას აქვს უფლება, მიმართოს ხალხს, პარლამენტს, მას აქვს ვეტოს უფლება, ასევე აქვს შეწყალების უფლება. სხვა ექსკლუზივების უფლებაც აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში, რომელსაც გააჩნია ძალიან მაღალი ლეგიტიმურობა. ის არის მთელი ხალხის წარმომადგენელი, ის არის საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.

რაზეც გესაუბრეთ, ეს არის სამართლებრივი მხარე. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს: პირველ ტურში ხალხმა ხმა მისცა არა საალმე ზურაბიშვილს, არამედ „ქართულ ოცნებას“. სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ დადო საპირწონედ თავისი ავტორიტეტი ამ არჩევნებში. ახლა მთლიანად მმართველი ძალის ავტორიტეტი დამოკიდებულია იმაზე, გაიყვანს თუ არა მეორე ტურში საალმე ზურაბიშვილს. სწორედ ამით აიხსნება ის სიტუაცია, რომელიც მეორე ტურის წინ არის შექმნილი.

– პოლიტიკურ კლიმატს რამდენად განსაზღვრავს?

– კვირაში ერთხელ რომ ჰქონდეს ხალხთან ურთიერთობა, პირადი შეხვედრები და თავის პოზიციას მოახსენებდეს სახელმწიფო საქმიანობის შესახებ, გეკითხებით, არ შექმნის პოლიტიკურ კლიმატს?! რასაკვირველია, შექმნის! ის აუცილებლად მოახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებაზე გავლენას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი – ვეტო. ეს ხომ იდეაა. იდეათა კრებული. იმიტომ იწუნებს კანონპროექტს, რომ ესა და ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, კონსტიტუციას და ის შემდეგ ამას ასაბუთებს.

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ქვეყანაში საომარი ვითარებაა, ვინ ხდება რეალურად პირველი პირი, ფორმალურად ისედაც არის პრეზიდენტი, რადგან მასთან იქმნება უსაფრთხოების ეროვნული საბჭო, სადაც შედიან პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრები და ა.შ. ამ საბჭოს კი თავად პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, რომელიც დეკრეტს გამოსცემს და რომელიც კანონის ძალის მქონეა.

თუ არაფერს წყვეტს ქვეყანაში პრეზიდენტი, მაშინ რატომ მიანდეს ასეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები?!

თანაც 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები ტარდება და საპარლამენტო არჩევნების წინ პრეზიდენტს ბევრი რამ შეუძლია.

– პრეზიდენტს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამოცხადება შეუძლია?

– არა, არ შეუძლია. პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უუნარო აღმოჩნდება და მთავრობას არ ამტკიცებს, ნდობას არ უცხადებს პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებულ მთავრობის შემადგენლობას. ამ შემთხვევაში ყველაფერი მმართველი პარტიის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, შეიძლება შეიქმნას ისეთი პოლიტიკური კლიმატი, რომ იძულებული იყოს მმართველი გუნდი, ამაზე წავიდეს.

აქვე ვიმეორებ, რომ მხოლოდ პრეზიდენტის ინიციატივით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ვერ დაინიშნება.

– თუ პრეზიდენტი ვაშაძე გახდა, შეიძლება, შეწყალების უფლება ჩამოართვას „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ?

– როგორ?

– მათ ხომ ჰყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა?

– კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება?! კონსტიტუციის გადასინჯვას, სულ ცოტა, 6 თვე სჭირდება. მე არ მგონია, ამაზე „ქართული ოცნება“ წავიდეს.

– რატომ?

– მიხეილ სააკაშვილს ისედაც ვერ შეიწყალებს, რადგან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, შეიწყალოს პირი, რომელიც ჯერ არ არის მსჯავრდებული. პრეზიდენტი მხოლოდ მსჯავრდებულ პირებს იწყალებს. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული საბრალდებო პროცესი კი შეიძლება 2020 წლამდე გაჭიანურდეს.

რომან კაკულია: „ლარს გამოჯანსაღების გრძელვადიანი პერსპექტივა აქვს“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ლარის კურსის მერყეობას ფუნდამენტურ ეკონომიკურ ფაქტორებს არ უკავშირებს.

დეპუტატი ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის პოზიციას ნდობას უცხადებს და აღნიშნავს, რომ მარეგულირებელი მაშინ ჩაერევა ამ პროცესში, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს.

– სამწუხაროდ, საზოგადოებამ ვიცით ყველა დეტალი, რითაც ფორმირდება ლარი. აქ შეგვიძლია ვთქვათ, ის ინსტრუმენტები, რომლებიც ფუნდამენტალურ ფაქტორებს ქმნიან, არ იძლევიან იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ რაღაც აპოკალიფსურს უნდა ველოდოთ. ის, რომ მოლოდინებმა ნამდვილად იქონია გარკვეული როლი, ეს ცალსახად ასეა. ჩვენთვის მთავარია, ეროვნულმა ბანკმა ზუსტად დაინახოს ის მომენტი, როცა ეს ცვლილება საფრთხეს უქმნის ინფლაციას და დარწმუნებული ვარ, მას ამის კომპეტენციაც და რეზერვებიც გააჩნია და ის მაშინ გააკეთებს ამ ჩარევას, როდესაც ამ საფრთხეს კონკრეტულად დაინახავს, – განაცხადა დეპუტატმა და დასძინა, რომ ამ მიმართულებით ეროვნულ ბანკს ის რეკომენდაციებს ვერ მისცემს.

– მას აქვს ამის კომპეტენცია, თუ რა მომენტში უნდა ჩაერიოს. ორივეს ერთად კონტროლი, ინფლაციისა და ლარის კურსის, ვერ ხერხდება. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკებში უნდა აირჩიო ერთ-ერთის კონტროლი. როგორც წესი, გაცვლითი კურსის კონტროლი ნაკლებად ეფექტურია, უფრო ეფექტურია – ინფლაციაზე, – განაცხადა კაკულიამ.

გარდა ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აცხადებს, რომ საარჩევნო მოლოდინების გაბათილებას ვერც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უზრუნველყოფს.

– ჩვენ რომ გვაქვს ასეთი კურსი, ეკონომიკა და უფრო უკეთესი იქნებოდა, მეტი ექსპორტი რომ გვქონოდა, ეს ცხადია, ერთ და ორ დღეში ვერ შეიცვლება. აქ ვისაც უნდა, ამას პოლიტიკურ პასუხისმგებლობად გადაიტანს, ვისაც უნდა შეგნებით მოეკიდება. ეს მოსახლეობის გადასაწყვეტია. ლარს გამოჯანსაღების გრძელვადიანი პერსპექტივა აქვს და არის მოკლევადიანი ქმედებები. მოკლევადიანს რაც შეეხება, სწორედ აქ არის ეროვნული ბანკი პასუხისმგებელი, გრძელვადიანს რაც შეეხება – ეროვნული ბანკი და მთლიანად მთავრობა. ეს პროცესები დადებითი ტენდენციით მიმდინარეობს, მაგრამ – არა საკმარისი ტემპით, სამწუხაროდ. ამიტომ ხდება, ის რაც ხდება, – განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ 7 ნოემბრის ვაჭრობის შედეგად, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ლარი ისევ გაუფასურდა და 1 აშშ დოლარი 2 ლარი 765 თეთრი ღირს.

BM.GE

გოგა ხაინდრავა: „600.000-მა მსხვერპლმა მოძალადეს მისცა ხმა“

ირაკლი ბათიაშვილი: „ნაციონალებს ვაშაძე დესტაბილიზაციისთვის უნდათ“

გულიკო ბალაძე

– „არა მიშას!“ „არა ნაცებს!“ „არა წარსულს!“ – ამ შეძახილებითა და ლოზუნგით „ბილწთ არ შავეკვრით ზავითა“ ჩაიარა რუსთაველის გამზირი 7 ნოემბერს შეკრებილმა საზოგადოებამ 11 წლის წინანდელი მოვლენების გასაპროტესტებლად. ისინი მოითხოვდნენ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის მოწყობაში დამნაშავეების დასჯას.

პარლამენტის წინ, სადაც შვილმოკლული მამები ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი აქციას მართავენ, აქციას კორდონი ჰქონდა გაკეთებული. კოლონა პარლამენტის წინ შეჩერდა. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ია მეტრეველმა განცხადება გააკეთა.

მან შვილმოკლულ მამებს ზაზა სარალიძესა და მალხაზ მაჩალიკაშვილს მიუსამძიმრა.

– აქ არიან შვილმოკლული მამები. მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო მათ. ჩვენ მათ მიმართ სოლიდარულები ვართ. ღმერთმა არ ქნას, ჩვენს ქვეყანაში კიდევ განმეორდეს ისეთი ტრაგედია, როცა ბავშვები, მოზარდები, ერთმანეთს სასტიკად უსწორდებიან. ეს ყველაფერი მომდინარეობს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმიდან. ბავშვები მთელი 9 წელიწადი აგრესიის მეტს არაფერს უყურებდნენ, ესმოდათ მხოლოდ დაიჭირეს, მოკლეს, გააუპატიურეს, სახლებში შეუცვივდნენ ნიღბიანები. ოჯახის წევრებს ბავშვების თვალწინ აპატიმრებდნენ.

ამ აგრესიამ გამოიღო შედეგი, რომ დღეს ქუჩაში ბავშვები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებიან. რა თქმა უნდა, სოლიდარულები ვართ. რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია ქართველი ერისთვის. ეს აღარ უნდა განმეორდეს. მე თანავუგრძობ და ვუსამძიმრებ მათ ამის გამო. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ 7 ნოემბრის აღსანიშნავად. ეს იყო იმ





ტრაგიკული დღის გახსენება, რომელიც გამოვიარეთ ნაციონალური რეჟიმის დროს, – განაცხადა ია მეტრეველმა.

მსვლელობა გაგრძელდა თავისუფლების მოედნამდე და ხალხი დაიშალა.

მსვლელობამდე საზოგადოების ნაწილი რუსთაველის თეატრთან შეიკრიბა. შეკრებილებს კობა დავითაშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა, გოგა ხაინდრავამ, დავით მაღრაძემ, ლევან გაჩეჩილაძემ და სხვებმა მიმართეს.

რაში სჭირდებათ ნაციონალებს თავიანთი კადრი პრეზიდენტის პოსტზე?

პარლამენტის ყოფილმა წევრმა, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ირაკლი ბათიაშვილმა წარმოადგინა სქემა, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს გრიგოლ ვაშაძემ გაპრეზიდენტების შემთხვევაში.

– ნაციონალებს თავიანთი პრეზიდენტი საქართველოში არეულობისა და დესტაბილიზაციის მოსაწყობად სჭირდებათ. ზოგი ამბობს, პრეზიდენტმა რა უნდა შეცვალოსო? მათ პრეზიდენტი სჭირდებათ ძირგამომთხრელი მუშაობისთვის. კერძოდ, პრეზიდენტმა ყოველდღე საზღვარგარეთ ბრიუსელში, სტრასბურგში, ვაშინგტონში, ყველგან კუბოში ჩადოს არსებული ხელისუფლება და მას ყოველდღე ძირი გამოუთხაროს.

რაც მთავარია, როგორც კი მომენტს ჩაიგდებენ, აქ შეიძლება დაიწყოს საზოგადოებრივი მღელვარების მაგვარი რამ, მაშინ მათი პრეზიდენტი სჭირდებათ იმისთვის, რომ დადგეს მათ გვერდით, მოწოდებები გააკეთოს; ხალხს მოუწოდოს, აქციას შემოუერთდითო, მიმართვა გააკეთოს ჯარისადმი.

ეს ყველაფერი მიმართული იქნება იქითკენ, რომ მასობრივი დესტაბილიზაცია მოაწყონ. სწორედ ამ მასობრივი დესტაბილიზაციისა და არეულობის ფონზე რიგგარეშე არჩევნები მოითხოვონ. მიაღწიონ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მაშინ, როდესაც ხელისუფლება იქნება პარალიზებული. ეს არის გეგმა. ეს გეგმა არის ცნობილი სხვადასხვა წყაროდან, – განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

გოგა ხაინდრავას თქმით, ნაცმოძრაობა ცდილობს, კიდევ ერთხელ მოატყუოს ხალხი.

– არჩევნებზე მივხვდი, რომ საქართველოს სტოკჰოლმის სინდრომი შეეყარა – ეს არის მდგომარეობა, როდესაც მსხვერპლს ტრფობა აქვს საკუთარი მოძალადისადმი. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, კიდევ ერთხელ მოატყუოს ხალხი, თუმცა საზოგადოება იმდენად გაიზარდა, რომ ამას არ დაუშვებს, – განმარტა გოგა ხაინდრავამ.

მისი თქმით, 600.000-მა მსხვერპლმა მოძალადეს მისცა ხმა, მოძალადეს ტრფობა გამოუცხადა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

– ეს მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი კარგად არ გვაქვს გააზრებული, სად ვიყავით და სად ვართ, – განაცხადა ხაინდრავამ.

7 ნოემბრის დარბევის მსხვერპლმა, პარლამენტის ყოფილმა წევრმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ ნაცმოძრაობის ჯალათები ხელისუფლების სამსახურში დგანან და აგრძელებენ ჯალათობას, რისი ნათელი მაგალითიცაა მირზა სუბელიანი.

– მე მოთხოვნა არ მაქვს იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც დაუშვა, რომ ნაცმოძრაობა ციხეში კი არ ზის, არამედ გვემუქრება რევანშით, ახალი 7 ნოემბრით, ახალი 26 მაისით, ახალი ძალადობითა და ახალი მკვლელობებით.

ეს ამ ხელისუფლების სინდისზეა და მე მათ მიმართ არ მაქვს არანაირი მოთხოვნა. მე მაქვს მტკიცე გადაწყვეტილება და ნება – პირადად მე, თქვენთან ერთად, არ დავუშვებ ნაცმოძრაობის მობრუნებას ხელისუფლებაში.

ნაცმოძრაობის ჯალათები ხელისუფლების სამსახურში დგანან, დაწინაურებულებიც კი არიან და აგრძელებენ ჯალათობას. ამის ნათელი მაგალითია მირზა სუბელიანი, რომელიც იყო პროკურორი 26 მაისის საქმეზე და იმას კი არ იძიებდა, როგორ გაუსწორდნენ ხალხს, არამედ პოლიტპატიმრებზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებდა, რომ მათგან ჩვენებები გამოეძალა.

მირზა სუბელიანი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დააწინაურა, შემდეგ კი მან გააკეთა ის, რასაც მუდმივად აკეთებდა – როდესაც ოჯახისა და შვილისთვის დასჭირდა, ხელი დააფარა, გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და აღმოვჩნდით უცნაურ მდგომარეობაში – საკუთარი პროკურორის დანაშაულებრივი საქმიანობის გამო ნაცმოძრაობა ამ ხელისუფლების გადადგომას ითხოვს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

აქციაზე პარლამენტის ყოფილი წევრი და სააკაშვილის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების ერთი-ერთი ორგანიზატორი ლევან გაჩეჩილაძეც იმყოფებოდა.

– ის წლები ჩვენ ყველა ერთად ვიკრიბებოდით. ყველა წინ აყენებდა თავის ქვეყანას, თავისი ქვეყნის თავისუფლებას, ვიდრე საკუთარ თავს. პრაქტიკულად, ამის გამო დაკარგა ყველაფერი და არც კი უნანია.

არაფერი ამ ქვეყანაზე არ ღირს თავისუფლების დაკარგვად. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ძალიან ბევრი, ჩვენზე მეტი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობა შემოგვიერთდა უკვე. მე რომ გუშინ და გუშინწინ არ მჯეროდა, ისეთი რაღაცები ვნახე და დღესაც ისეთს ვხედავ, რომ ახალი თაობა თქვენს თუ საქართველოს თავისუფლებაზე კიდევ უფრო შეყვარებულია, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

პოეტ დავით მაღრაძის თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში ღირსების ხმა გაისმა. არჩევნებზე გულგატეხილი ხალხი არ მოვიდა. ხელისუფლებამ ხალხში კი არ უნდა ეძებოს მხარდამჭერები, არამედ თვითონ უნდა გახდეს ხალხის მხარდამჭერი.

– საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში ღირსების ხმა გაისმა. გულგატეხილი ხალხი არ მოვიდა. ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენს მმართველ პარტიაში ჩათვალეს – ხალხმა საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად აღკვეთა მანიაკალური ხელისუფლების პარპაში საქართველოში და, როგორც მაშინ ბიძინა ივანიშვილმა დაუჭირა მხარი ჩვენს მოძრაობას, კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენთვის ბრძოლა ივანიშვილს არ უსწავლებია – ბრძოლა ჩვენმა ღირსებამ გვასწავლა.

ეს არ იყო ერთი კაცის გარშემო შექმნილი გაერთიანება. ეს იყო მოსახლეობის ხმა, პროტესტი ძალადობისა და უმსგავსობის მიმართ, რომელსაც შემოუერთდა ივანიშვილი. ახლა კი ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და შემოუერთდეს ჩვენს გულისთქმას. კეთილი ინებეთ და შემოგვიერთდით, ჩვენში კი ნუ ეძებთ მხარდამჭერებს, თქვენ უნდა გახდეთ ჩვენი მხარდამჭერები.

დავით მაღრაძე ფიქრობს, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ სალომე ზურაბიშვილი არ იქნება ვალში არსებულ ხელისუფლებასთან.

– მოსახლეობა გაიყვანს სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად და მხოლოდ საკუთარი მშობელი ხალხის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. ეს კი გახდება სათავე იმისა, რომ პრეზიდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან მაღალი იქნება. ეს იქნება ჩვენი საზოგადოების მონაპოვარი და მიღწევა, – აღნიშნა დავით მაღრაძემ.

გიორგი ცაგარეიშვილი: „ნაციონალების დაბრუნება არ უნდა დავუშვათ“

„ქართულ ოცნებას“ მოუწევს, გადახედოს თავის ადრინდელ მოქმედებებს“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **გიორგი ცაგარეიშვილს.**

– არ ვიცი, მიიჩნევთ თუ არა თავს ძველი გვარდიის წევრად „ქართული ოცნების“ წიაღიდან, პოლიტიკური და ნაციონალებთან ბრძოლის გამოცდილება კი დიდი გაქვთ. როგორ აფასებთ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას?

– ჩემი სამშობლოს წიაღიდან წამოსულად და ქვეყნის გვარდიის წევრად მივიჩნევ თავს. პირველ რიგში, სამშობლოს მსახური და ჯარისკაცი ვარ და მხოლოდ ამის შემდეგ – სხვა რომელიმე გაერთიანების წევრი. ვცდილობდი, ქვეყანას გამოვდგომოდი ყოველთვის, როცა მას უჭირდა.

– ახლა რთული ვითარებაა?

– საკმაოდ რთულია ვითარება. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შეიქმნა იმის საშიშროება, რომ ხელისუფლებაში შეიძლება დაბრუნდეს ნაციონალური მოძრაობა. 7 ნოემბერს 11 წელიწადი შესრულდა იმ ავბედითი სისხლიანი 7 ნოემბრიდან, როცა სააკაშვილმა და ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ გადაუარეს თავიანთ ხალხს. 7 ნოემბრის მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში სხვებთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა.

ბუნებრივია, რომ მაშინდელი რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანი გაცილებით მეტია, ვიდრე იქ მოვიდა. იმისთვის, რომ ჩვენ ის 7 ნოემბერი აღარ გაგვითენდეს და სხვა საშინელება არ დაგვატყდეს თავს, რაღაც უნდა გავაკეთოთ. ამაში მეც შემაქვს ჩემი წვლილი. იმ ავბედითი დღის ყველა წამი და წუთი მახსოვს. არც სხვა არაადამიანური მოქმედებები დამივიწყებია. ძალიან ბევრს გვახსოვს ის საშინელი წლები.

– ნაცმოძრაობა და მის გარშემო გაერთიანებული სხვა ძალები თავდაჯერებულად გამოიყურებიან და მომავლის გეგმებს სახავენ.

– ისინი ვერ გაიმარჯვებენ. პირველი ტური სულ რაღაც ერთპროცენტიანი სხვაობით დამთავრდა. ეს დამაფიქრებელია, მაგრამ ხდება ხალხის მობილიზება და გააქტიურება. აქტიური საზოგადოება რეგიონებში გადის. ხალხმა სააკაშვილის რეჟიმის სიმწარე თავის თავზე გამოცადა და მეორე ტურში სახლში არ დარჩება.

– „ქართულმა ოცნებამაც“ შეუწყო ხელი იმას, რაც ხდება?

– „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა შეცდომები. მისმა თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ შეცდომები იყო. წინა წლებშიც შეინიშნებოდა არასწორი მოქმედებები. ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში, წინასაარჩევნო პერიოდში, ხალხისთვის გამაღიზიანებელი ნაბიჯები გადაიდგა. ამან ცუდად იმოქმედა მმართველ პარტიაზე, მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატზე.

„ქართული ოცნება“ რაღაცაში შეცდა, მაგრამ მას არ ჩაუდენია დანაშაული. ასეთ დანაშაულს ყოველ ნაბიჯზე ჩადიოდა ნაციონალური მოძრაობა საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

– ყველაზე ძალიან სად შეცდა „ქართული ოცნება“?

– ის მოსწყდა ხალხს. „ქართულ ოცნებას“ მოუწევს, გადახედოს თავის ადრინდელ მოქმედებებს. უმრავლესობაში ვიყავი თუ ოპოზიციაში, ყოველთვის ყველას ვუმეორებდი, რომ ხელისუფლებამ ხალხთან კავშირი არ უნდა გაწყვიტოს. არჩეულს მუდმივი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს ამომრჩეველთან. საუბედუროდ, ეს სენი ყველა ხელისუფლებას ახასიათებს. „ქართული ოცნება“ გამონაკლისი არ ყოფილა. ბიძინა ივანიშვილმა ხალხს სიტუაციის გამოსასწორებლად ერთი წელიწადი სთხოვა.

– ამაზე რისი თქმა შეიძლება?

– მთავარი მონდომებაა. ერთ წელიწადში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო. შეცდომების აღიარებასაც გაბედულება უნდა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ სიმამაცე გამოიჩინა. ამას დღემდე ვერ აკეთებენ ნაცმოძრაობის ლიდერები.

რომან გოცირიძე: „ვოლსკის ვაშაძე ყოვლისშემძლე ჰგონია“

„ლარის გაუფასურებაში დამნაშავეა მთავრობა და ეროვნული ბანკი „იაფი ფულის“ პოლიტიკით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

– ბატონო რომან, უმრავლესობის წევრები ამბობენ, ლარი რომ უფასურდება, გრიგოლ ვაშაძის განცხადებების ბრალიაო. რას უპასუხებდით ამ ბრალდებას?

– ბატონი ვოლსკი ამბობს, რომ ვაშაძე მოუწოდებს სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ ხალხს და ამიტომ უფასურდება ლარი. როგორც ჩანს, მას აერია ერთმანეთში ვაშაძე და გედევან ფოფხაძე.

სწორედ გედევან ფოფხაძემ თქვა, რომ თუ საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებენ, დაიწყება სამოქალაქო ომი და რატომღაც ეს მიაწერეს გრიგოლ ვაშაძეს. განცხადებები, რომლებიც ფოფხაძემ გააკეთა, რა თქმა უნდა, არის ძალიან ცუდი. ეს ხელს არ უწყობს ქვეყნის სტაბილურობას, აღვივებს შუღლს და ეს არის ნიშანი, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ თბილ სავარძლებს და იმ ფულს, რომელსაც ხრავენ ბიუჯეტიდან „ოცნებასთან“ დაახლოებული ხალხი და მათი აქტივი.

– ანუ?

– ანუ ომის ფასადაც კი წავლენ ხელისუფლების შენარჩუნებაზე. ეს ძალიან ცუდი განცხადებაა, მაგრამ გედი ფოფხაძე არ არის ის პერსონა, რომელსაც ლარის კურსის ბედის განსაზღვრა შეუძლია. უბრალოდ, ეს უპასუხისმგებლო ადამიანის განცხადება იყო.

ბატონ ვოლსკის თუ მიაჩნია, რომ ბატონ ვაშაძეს შეუძლია, ლარი გააუფასუროს, მაშინ გამოდის, რომ ვისაც ლარის გაუფასურება შეუძლია, მას ასევე შეუძლია, ლარი გაამყაროს.

ამით მან აღიარა ვაშაძის ყოვლისშემძლეობა. ვაშაძე უფრო ავტორიტეტული ყოფილა საზოგადოებისა და ბიზნესისთვის, ვიდრე ეროვნული ბანკი და მთავრობა, ერთად აღებული. კარგია, ასე რომ იყოს, თუმცა, ბუნებრივია, არც ერთი ადამიანის გამონათქვამი არ არის სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედების ტოლფასი.

სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტები – ეროვნული ბანკი და მთავრობა – არის დამნაშავე ლარის გაუფასურებაში. მაშინაც, კი, როდესაც ეს საფრთხე სულ უფრო და უფრო იზრდება, აბსოლუტურად არასწორ და უპასუხისმგებლო ნაბიჯებს დგამენ.

– მთავრობის ბრალია, ლარი რომ ასე კატასტროფულად უფასურდება?

– ასეა. მთავრობა თავისი უგუნური ქმედებებით აუფასურებს ლარს. 6 ნოემბერს ხაზინამ 150 მილიონი ლარი კიდევ ასესხა კომერციულ ბანკებს, მაშინ, როცა ამ მძიმე ვითარებაში თავი უნდა შეეკავებინა მსგავსი ოპერაციებისგან. მთავრობა თავის ანგარიშებზე აგროვებს ფულს გადასახადების, გრანტებისა და ვალის აღების გზით. შემდეგ ამ ფულს ვერ ხარჯავს ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად.

– ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება ლარზე?

– ერთი შეხედვით, ამან დადებითად უნდა იმოქმედოს ლარზე, რადგან ამოაქვს ფული მიმოქცევიდან, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვერ მოგართვით – მთელი ნაგროვები ნაშთი 1 მილიარდ 175 მილიონი ლარის ოდენობით ხაზინამ გაასესხა კომერციულ ბანკებზე. შესაბამისად, ეს ფული მიდის მიმოქცევაში და მისი ნაწილი ხვდება სავალუტო ბაზარზე. ამას დამატებული ეროვნული ბანკის მიერ სულ უფრო და უფრო მზარდი ოდენობით გაცემული რეფინანსირების სესხები (1.570 მილიარდი დღევანდელი მდგომარეობით) და დავინახავთ, რომ მთავრობა და ეროვნული ბანკი 3 მილიარდამდე ლარს აწვდიან ბანკებს ამ კრიზისულ ვითარებაში.

– მიზანი?

– მიზანი „ეკონომიკური ზრდის წახალისება“ და „ბანკებისათვის მოკლევადიანი ლიკვიდობის“ მიწოდებაა. სინამდვილეში ასეთი მოქმედება აუფასურებს ლარს, რომლის არასტაბილურობაც არის ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. როცა ვამბობთ, რომ ბიუჯეტიდან მილიარდები არის დასახარჯი, ეს სინამდვილეში უკვე „დახარჯულია“ და დარჩენილ ორ თვეზე ნაკლებ დროში მართლა დასახარჯია 3,2 მილიარდი ლარი, ანუ იმაზე მეტი, რაც წლის ბოლო 3 თვეში უნდა დახარჯულიყო გეგმის მიხედვით.

– ანუ ხელისუფლებაა დამნაშავე ლარის გაუფასურებაში?

– ლარის გაუფასურებაში პირდაპირაა დამნაშავე მთავრობა და ეროვნული ბანკი თავისი „იაფი ფულის“ პოლიტიკით, რომელიც ძალიან ძვირი უჯდებათ ჩვენს მოქალაქეებსა და ბიზნესს.

მამუკა ბახტაძე: „არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არის, რომ ლარის დევალვაციას ვხედავდეთ“

არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არის ეკონომიკაში იმისთვის, რომ ჩვენ ვხედავდეთ ლარის დევალვაციას, შესაბამისად, ბუნებრივია, უპასუხისმგებლო განცხადებებმა გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან ამ ყველაფერს ხელი შეუწყო, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული განმარტება საკმაოდ შინაარსიანი და ობიექტური იყო.

– ვფიქრობ, ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული განმარტება არის საკმაოდ შინაარსიანი და ის ობიექტურ რეალობას ეყრდნობა. არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არის ეკონომიკაში იმისთვის, რომ ჩვენ ვხედავდეთ ლარის დევალვაციას, შესაბამისად, ბუნებრივია, უპასუხისმგებლო განცხადებებმა გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან ამ ყველაფერს ხელი შეუწყო. ჩვენთვის მთავარი და კრიტიკულად მნიშვნელოვანი არის ორი ფაქტორი: ეს არის პირველ რიგში ინფლაცია, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი ორიენტირი ჩვენთვის და მეორე არის დედოლარიზაციის სტრატეგია, ანუ ლარიზაცია. ჩვენი მოქალაქეებისთვის მტკივნეული არ უნდა იყოს სხვადასხვა გარე ფაქტორებიდან გამომდინარე კურსის ცვლილება. ჩვენ გვერგო ეს მემკვიდრეობით, რომ ჩვენ ქვეყანაში გვაქვს დოლარიზაციის ძალიან მაღალი დონე. დავიწყეთ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და იცით, რომ ლარიზაცია გაზრდილია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენთვის აუცილებელია, რომ ჩვენს ეკონომიკაში იყოს ლარიზაციის მაღალი დონე და ის რისკები, რომელიც მომდინარეობს დოლარიზაციის მაღალი დონიდან გამომდინარე, იყოს დაბალანსებული, – განაცხადა ბახტაძემ.

„წარმოუდგენელია, ხელისუფლება ქვეყნის მმართველობაში 6 წელი იყოს და ლარის დევალვაცია ოპოზიციას გადააბრალოს“

– როგორც მმართველ გუნდს, ისე ოპოზიციური ძალას გადანაწილებული აქვთ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა. შესაბამისად, ორივე მხარე აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომელიც ამომრჩეველს მიიზიდავს და რომელიც რეალურად ლარის დასტაბილურებას ხელს არ უწყობს, – ასე აფასებს ეკონომისტი გიორგი პაპავა მამუკა ბახტაძის განცხადებას ლარის კურსის დევალვაციასთან დაკავშირებით.

როგორ პრემიერმა მთავრობის სხდომამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ლარის გაუფასურებას ხელი პოლიტიკოსებისგან უპასუხისმგებლო განცხადებებმა შეუწყო.

გიორგი პაპავას თქმით, ლარის კურსი ანარეკლია იმ პროცესების, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარეობს:

– წარმოუდგენელია, ხელისუფლება ქვეყნის მმართველობაში იყოს 6 წელი, სრული პასუხისმგებლობა მოიხსნას და ოპოზიციურ ძალას გადააბრალოს ლართან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა. ეს არ ხდება არსად, ისინი მართავენ ეკონომიკურ პოლიტიკას, მათ აქვთ ყველა ბერკეტი ცენტრალურ, ადმინისტრაციულ დონეზე, რეგიონებში, პარლამენტში და ა.შ. სიტუაცია, რომელიც არის შექმნილი ქვეყნის ეკონომიკაში, უმეტესწილად მათი პასუხისმგებლობაა. ერთი მხარე მეორე მხარეს აბრალებს, მეორე მხარე – პირველს. ძალიან რთულია განსაზღვრო, ფოფხაძის განცხადება უფრო დამაზიანებელია თუ სააკაშვილის. მაგრამ გარემო, სადაც წინასაარჩევნოდ ახალ-ახალი განცხადებები კეთდება, რომელიც მიმართულია უფრო მეტად ამომრჩევლის მოზიდვაზე და არა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, ხელს არც ლარის კურის დაასტაბილურებას უწყობს და არც ქვეყნის განვითარებას, – განმარტავს გიორგი პაპავა.

მამუკა ბახტაძემ განაცხადა ისიც, რომ ლარის დევალვაციის არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არსებობს. ეკონომისტი გიორგი პაპავა კი იმ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებმაც ლარის არასტაბილურობას შეუწყო ხელი:

– ფუნდამენტური ფაქტორი იყო ის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი შედარებით შემცირებულია ვიდრე წლის პირველ ნახევარში. შესაბამისად, გარკვეული გავლენა შესაძლოა ამას მოეხდინა. მოლოდინების ფორმირება კერძო სექტორში დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რასაც ვაჩვენებთ. ქვეყანაში ეკონომიკური მიმართულებით ბოლომდე მკაფიოდ გაცხადებული პოლიტიკა არ გვაქვს და ეს არ უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას, შესაბამისად, არც იმას, რომ ლარი იყოს სტაბილური და ბიზნესს ჰქონდეს პროგნოზის მაღალი დონე მომავლის კუთხით, – განაცხადა გიორგი პაპავამ.

„კორტების“ მესაკუთრე განცხადებას ავრცელებს

საბურთალოზე, ე.წ. კორტების ტერიტორიის მფლობელი ვენერა ალიშევა განცხადებას ავრცელებს. განცხადება BM.GE-ს მისმა მინდობილმა პირმა ლაშა ჯამალაშვილმა მიაწოდა.

მესაკუთრე აცხადებს, რომ მას წლების განმავლობაში ჰქონდა ტერიტორიის განვითარების მცდელობები, თუმცა, უშედეგოდ.

გთავაზობთ განცხადებას უცვლელად:

– ვენერა ალიშევა 2009 წლიდან ფლობს აღნიშნულ ტერიტორიას. მესაკუთრის მიერ ნაკვეთის შეძენის მომენტში მას უკვე ჰქონდა საცხოვრებელი ზონის სტატუსი და, ბუნებრივია, გეგმავდა მისი ამ ფუნქციით განვითარებას. თუმცა აღნიშნულ მიწის ფართობზე, მესაკუთრესთან შეთანხმებისა და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, 2011 წელს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელდა საავტომობილო გზის მშენებლობა და შედეგად, დღეის მდგომარეობით, ნაკვეთის დიდი ნაწილი დაკავებულია გზის ფართით. აღნიშნულმა გარემოებამ ასევე გამოიწვია მიწის დაყოფა მცირე ნაკვეთებად (რომელთაგან ერთ-ერთზე მდებარეობს ჩოგბურთის მოედნები) და შედეგად შემცირდა მიწის ფართობის ლიკვიდურობა, რითაც ქონების მესაკუთრეს მიადგა სოლიდური მატერიალური ზიანი.

ამ ფაქტის თაობაზე დაზარალებულმა მესაკუთრემ ვენერა ალიშევამ მრავალჯერ მიმართა ქ. თბილისის მერიას სათანადო რეაგირებისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების თხოვნით თუმცა ქალაქის წინამორბედ ხელმძღვანელებს ამაზე, ფაქტობრივად, არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.

მიყენებული ზიანის კომპენსაციის დავის პარალელურად დაზარალებული ინვესტორი აქტიურად განაგრძობდა განვითარებისთვის ვარგისი, დარჩენილი ტერიტორიის (ჩოგბურთი მოედნების) განვითარების გეგმაზე მუშაობას, რაზეც არაერთხელ შემუშავდა სხვადასხვა კონცეფციის არქიტექტურული პროექტი, თუმცა მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ არც ერთი მათგანის შეთანხმება არ მოხდა.

ბოლო პერიოდში მესაკუთრესა და თბილისის მერიას შორის აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები აღნიშნული პრობლემის მოგვარების თაობაზე. ორივე მხარე აცნობიერებს აღნიშნული ტერიტორიის მიმართ საზოგადოების მაღალ ინტერესს და ამ ეტაპზე მიღწეულია შეთანხმება, რომელიც გულისხმობს აღნიშნული ფართის გადაცვლას ტოლფასი ღირებულების უძრავ ქონებაში, სადაც მესაკუთრეს საშუალება მიეცემა, განახორციელოს დიდი ხნის წინ დაგეგმილი მსხვილი საინვესტიციო პროექტი, ხოლო მუნიციპალიტეტი შეძლებს კორტების ტერიტორიის ურბანული თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმალურად განვითარების წინაპირობების შექმნას, რაც მისი სპორტულ-სარეკრეაციო თვალსაზრისით განაშენიანებასა და კეთილმოწყობას გულისხმობს, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, საბურთალოზე, კორტების ყოფილი ტერიტორია 2009 წელს ინვესტორს გადაეცა. ადგილზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა იგეგმებოდა – მიწისქვეშა ავტოპარკინგით, დახურული სპორტული დარბაზითა და გამწვანებით. აღნიშნული პროექტი აღარ განხორციელდება. თბილისის მერიის ინფორმაციით, ტერიტორია მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება და ადგილზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი მოეწყობა.

BM.GE

თემურ ბასილია: „იმ ბომბზე სხედხართ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს“

ფინანსისტი თემურ ბასილია ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს:

უკვე წლებია მოვუწოდებ ხელისუფლებას, ჩაეხედა ეროვნული ბანკისა და საბანკო სექტორის საქმიანობაში. სამწუხაროდ, ამან შედეგი არ გამოიღო: იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა მშვიდად უყურებდა, როგორ ძარცვავდა საბანკო სექტორი ლარის კურსის მანიპულაციებით მოსახლეობას.

– მე არა ვარ გულგრილი ლარის მიმართ, რადგან ჩემს მეგობრებთან ერთად (ვლადიმერ პაპავა, დავით იაკობიძე, ნოდარ ჯავახიშვილი, მერაბ კაკულია და ა.შ.) შევქმენით იგი და 1995 წლის შემოდგომაზე წარმატებით ჩავატარეთ ფულის რეფორმა. ეს არის ჩემი გუშინდელი ინტერვიუ კომერსანტთან. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ გადაწყვეტილების მიმღებთ, კარგად დაფიქრდით და ჩაიხედეთ რა ხდება საბანკო სისტემაში, რადგან იმ ბომბზე სხედხართ, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს, – წერს თემურ ბასილია.

ოზურგეთში მანქანა სახლის ეზოში შევარდა

დაიღუპა 1 ადამიანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მერია-ლაითურის დამაკავშირებელ გზაზე.

მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში შევარდა.

შემთხვევის შედეგად მანქანაში მყოფი ერთი პირი გარდაიცვალა, ერთი დაშავებული კი ოზურგეთის „მედალფას“ სამედიცინო ცენტრშია გადაყვანილი.

ცენტრის დირექტორ დავით მდინარაძის თქმით, ავარიის დროს ერთი ადამიანი გარდაიცვალა, მეორეს კი ქალა-ტვინის ტრავმა აღენიშნება და მძიმე მდგომარეობაში რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

მე-11 კლასელი გოგო 75 წლამდე მასწავლებელს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს ქვემო ქართლის პოლიციამ 75 წლამდე მასწავლებელი დააკავა, რომელსაც მე-11 კლასის მოსწავლე სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

მასწავლებელი ამჟამად პატიმრობაში იმყოფება. განათლების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მასწავლებელი სკოლიდან გაათავისუფლეს.

ინფორმაცია, რომ მე-11 კლასელი გოგო 75 წლამდე მასწავლებელს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს, თავდაპირველად სააგენტო „ნეტგაზეთმა“ გაავრცელა.

სააგენტოს ცნობით, ოჯახს არ სურს ამ თემაზე საუბარი.

მოსწავლე აგრძელებს სკოლაში სიარულს.

მარნეულში ქორწილის ღამეს სახლი გაქურდეს

ნეფე-პატარძლისთვის ნაჩუქარი ფული მძარცველებმა წაიღეს

მარნეულში, საიათნოვას ქუჩაზე, ქორწილის ღამეს სახლი გაძარცვეს. სახლის მეპატრონემ წინა დღეს საკუთარ ქალიშვილს ქორწილი გადაუხადა და სტუმრების ნაჩუქარი ფული სწორედ სახლში ინახებოდა. ძარცვის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა, რადგან ამჯერად ქორწილს სასიძოს მხარე იხდიდა და ყველა იქ იყო წასული.

სახლში დაბრუნებულებს ფანჯარა გატეხილი, ოთახები არეული და საყოფაცხოვრებო ნივთები გადმოყრილი, საძინებელში შენახული ფული კი წაღებული დახვდათ.

ადგილზე გამოძახებული იყო პოლიცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

გურჯაანში ქალს მანქანა დაეჯახა და მოკლა

სოფელ გურჯაანში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შუახნის ქალი ემსხვერპლა. თვითმხილველთა ინფორმაციით, ქალი ცენტრალურ მაგისტრალზე გადაადგილდებოდა, როცა მას ავტომობილი დაეჯახა.

ადგილზე გამოძახებულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას დაშავებული გარდაცვლილი დახვდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

სასამართლოში გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდების მთავარი მოწმე მამუკა ცხოვრებაძე დაკითხეს

ადვოკატი ბასილაია: „მამუკა ცხოვრებაძესთან ბევრი კითხვა მაქვს“

გუშინ, 8 ნოემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, სტამბოლის ბაზრის დირექტორი მამუკა ცხოვრებაძე დაიკითხა.

მოწმემ დეტალურად ისაუბრა 15 იანვარს განვითარებულ მოვლენებზე და განაცხადა, რომ სწორედ მან ნახა პირველმა საკუთარ კაბინეტში მოკლული გენერალი, რომელიც თავდაპირველად ვერ იცნო.

ცხოვრებაძემ ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ქუთათელაძე სწორედ ჭანტურიამ მოკლა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მკვლელობამდე გენერალთან ერთად მისი კაბინეტისკენ მიმავალი ნახეს სხვა მოწმეებმა.

გიორგი ჭანტურიას ადვოკატი ბექა ბასილაია აცხადებს, რომ ამ საქმის ფიგურანტმა მოწმემ მამუკა ცხოვრებაძემ, რომელიც ოთხჯერ არის გამოძიების მიერ დაკითხული, პროცესზე ახალი დამატებითი მტკიცებულებები „ჩადო“ საქმეში იმისათვის, რომ „ჩადებული მოწმეების“ ჩვენებები „გაეპრავებინა“.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ მამუკა ცხოვრებაძის მიერ მიცემულ წინა და დღევანდელ ჩვენებებს შორის არსებითი აცდენაა.

– დღეს ჩვენ ვნახეთ, რომ ამ საქმის ასევე მნიშვნელოვანმა ფიგურანტმა მოწმემ, მამუკა ცხოვრებაძემ, რომელიც ოთხგზის არის დაკითხული უკვე სასამართლო პროცესზე, ასე ვთქვათ, ახალი, დამატებითი მტკიცებულება „ჩადო“. მანამდე არსებულ ჩვენებებში საერთოდ არ ახსენებდა დამატებით გარემოებებს, რაზეც დღეს ისაუბრა და ისაუბრა იმიტომ, რომ „გაეპრავებინა“ იმ ჩადებულ მოწმეთა ჩვენებები.

ჩვენ მოვისმინეთ წინა პროცესზე დაზარალებულთა ჩვენებები, ყურადღებას გავამახვილებ აწ გარდაცვლილი, უაღრესად პატივსაცემი ადამიანის, სამსონ ქუთათელაძის ვაჟის ჩვენებაზე, რომელმაც თქვა, რომ ოფისის უკანა მხარეს დააყენა მანქანა, უკანა მხარეს შეხვდა მამუკა ცხოვრებაძე, რომელმაც ასეთი ვითარებაა ოფისშიო, უთხრა, შეჰყვა მას და დაინახა მამა და რა ტრაგედიაც გადახდა.

დღეს ჩვენ ვისმენთ მამუკა ცხოვრებაძისგან, რომ ის წინა შესასვლელიდან გამოვიდა ოფისიდან, წინა შესასვლელთან შეხვდა ბესიკ ქუთათელაძეს, როგორ შეჰყვა მას უკან, არ ახსოვს, თუმცა, რომ რეკავდა, ახსოვს, ზარი რომ გადიოდა სამსონ ქუთათელაძის ტელეფონზე, ეს ახსოვს, შესაბამისად, არსებითი აცდენაა ჩვენებებს შორის, – განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.

მისივე თქმით, მამუკა ცხოვრებაძის ქმედებებთან მიმართებაში არსებობს ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი, რაც გამოძიებამ თავის დროზე არ გამოიკვლია.

– მამუკა ცხოვრებაძე არის ადამიანი, რომელმაც სამსონ ქუთათელაძე მის სამუშაო კაბინეტში გასისხლიანებულ მდგომარეობაში ნახა და ერთი ზარიც არ გაუკეთებია სასწრაფო დახმარების ცენტრში, ერთი ზარი არ გაუკეთებია პოლიციაში, გამოვიდა და ალიბის შესაქმნელად დაცვის თანამშრომლებს მოუხმო.

და მისი არც ტანსაცმელი ამოიღო გამოძიებამ, არც ექსპერტიზა ჩაატარა და არც არაფერი. ეს აჩენს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ამ მოწმის ჩვენების სანდოობასთან და თავად ამ პირის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, – განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.

სამსონ ქუთათელაძე სტამბოლის ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ კაბინეტში 15 იანვარს ნახეს მოკლული. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან 6 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

სისხლის სამართლის საქმე გიორგი ჭანტურიას მიმართ, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

დაჭრილი აკაკი გვასალია მანქანით გაქცევას ცდილობდა, როდესაც შეიარაღებული ჯგუფი დაეწია

სისხლიანი გარჩევა სენაკის ცენტრში

7 ნოემბერს სენაკში ერთი მამაკაცი ცივი იარაღით მძიმედ დაჭრეს.

შემთხვევა ქალაქის ცენტრში დღის 5 საათზე მოხდა.

თვითმხილველები ყვებიან, რომ დაპირისპირება სენაკის სადგურის ტერიტორიაზე სკვერში დაიწყო. დაჭრილი აკაკი გვასალია საკუთარი ავტომობილით გაქცევას ცდილობდა, ხელკეტებითა და დანებით შეიარაღებული ჯგუფი მას დაახლოებით 100 მეტრში დაეწია და ქალაქის ცენტრში ჯერ მანქანა ხელკეტებით ჩაუმსხვრიეს, თავად გვასალიას კი დანით გაუსწორდნენ. ახალგაზრდას ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული.

ინციდენტს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

თვითმხილველებმა საპატრულო პოლიცია მხოლოდ მამაკაცის დაჭრის შემდეგ გამოიძახეს. ერთ-ერთი ვერსიით, ქუჩური დაპირისპირება ორ ქალაქში კარგად ცნობილ კრიმინალურ ჯგუფს შორის მოხდა. თუმცა, რა გახდა გარჩევის მიზეზი, უცნობია.

დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სენაკის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს.

საქართველოში ირანის მოქალაქემ მეორე ირანელის მკვლელობა 5.000 დოლარად შეუკვეთა

(შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადება)

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მომზადებაში ბრალდებული ირანის რესპუბლიკის მოქალაქე ა.პ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 25 იანვარს, ქ.თბილისში ყოფნისას ა.პ. დაუკავშირდა და შეხვდა ირანის რესპუბლიკის მოქალაქეს ა.ფ.-ს, რომელსაც უთხრა, რომ საქართველოში მყოფი ასევე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ვ.ა. სოციალური ქსელების მეშვეობით მის მიმართ ღირსების შემლახავ ინფორმაციას ავრცელებდა და ა.ფ.-ს მკვლელის პოვნა შეუკვეთა, რომელიც გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ ვ.ა.-ს მოკლავდა.

2018 წლის 27 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით, ა.ფ. და ა.პ. რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და მკვლელობის დეტალებზე და გვამის გადამალვის გეგმაზე შეთანხმდნენ. ა.პ. ა.ფ. – ს დაჰპირდა, რომ ვ.ა.-ს მკვლელს 5000 აშშ დოლარს გადაუხდიდა და იარაღის შესაძენად 500 აშშ დოლარს მისცემდა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს 2018 წლის 4 თებერვალს ა.პ.-მ მკვლელობის დეტალები დააზუსტა და ა.ფ.-ს დაავალა, რომ დამაჯერებლობის განსამტკიცებლად გვამისთვის სურათის გადაღება და მისთვის ჩვენება იყო საჭირო, ხოლო უსაფრთხოების მიზნით ვ.ა.-ს გვამზე დიდი ლოდები უნდა დაეკიდათ და წყალში ჩაეგდოთ. 2018 წლის 7 თებერვალს კი ა.პ.-მ მკვლელობის იარაღის შესაძენად ა.ფ.-ს 1200 ლარი გადასცა.

სამართალდამცველებმა ა.პ. 2018 წლის 9 მარტს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.პ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„სასტუმროდან მოიპარა ტელევიზორი და მანქანიდან — მაგნიტოფონი“

ქურდობის ბრალდებით 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აჭარაში მომხდარი ქურდობის ფაქტები გახსნა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ზ.მ., ქურდობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის ოქტომბერში სარფში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროდან ტელევიზორები, მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანიდან კი მაგნიტოფონი და მეხსიერების ბარათი მოიპარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზ.მ. ზუგდიდში დააკავეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ოზურგეთში 35 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა

ოზურგეთში 35 წლის მ.გ-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ეს 7 ნოემბერს დილით მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცი სიმაღლიდან გადმოხტა.

გარდაცვლილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში ცხოვრობდა.

როგორც სოფელში მერის წარმომადგენელი, ივანე ვაშაყმაძე გვეუბნება, კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ დაასრულა მ.გ.-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით, არ სახელდება:

– არ ვიცი, რა მოხდა და რატომ. ექსპერტიზის პასუხს ველოდებით. ძალიან კარგი ადამიანი იყო. ცოლოურს იმყოფებოდა და გავიგე, რომ იქ მოუკლავს თავი, – გვითხრა ვაშაყმაძემ.

ნიუპოსტი

აშშ-ის არჩევნები: რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა

აშშ-ში შუალედური არჩევნები დასრულდა. წინასწარი მონაცემების თანახმად, დემოკრატებმა კონგრესში უმრავლესობის მოპოვება შეძლეს. სამაგიეროდ, რესპუბლიკელებს სენატში ექნებათ უმრავლესობა.

საბოლოო ციფრები მაშინ გამოჩნდება, როცა ხმები ბოლომდე იქნება დათვლილი. დღეს კი შეიძლება ითქვას, რომ ტრამპმა მიზნის მიღწევა ვერ შეძლო და კონგრესში რესპუბლიკელების უმრავლესობა ვერ შეინარჩუნა.

მიზნის ბოლომდე მიღწევა ვერც დემოკრატებმა შეძლეს. მათ მოიპოვეს უმრავლესობა კონგრესში, მაგრამ სენატი კვლავაც რესპუბლიკელების კონტროლქვეშ რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპიჩმენტის მექანიზმის ამუშავება, რასაც დემოკრატები აპირებდნენ, მათ ძალზე გაუჭირდებათ.

ამავე დროს, ტრამპს თავისი წინასაარჩევნო პროგრამის შესრულებაც ძალზე გაუჭირდება. როგორც ცნობილია, ის რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვას ესწრაფვოდა.

მოპოვებული ხმები საშუალებას მისცემს დემოკრატებს, ტრამპის მოღვაწეობის გარკვეული მომენტების გამოძიება მოითხოვონ. აქედან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ტრამპის რუსეთთან კავშირები.

გამოძიება რთული და ხანგრძლივი იქნება. ჰქონდა თუ არა ტრამპს კავშირები რუსეთთან? მოხერხდება თუ არა სიმართლის დადგენა? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ნათელია მხოლოდ, რომ ტრამპის მოსკოვთან კონტაქტების გარშემო დიდი აჟიოტაჟი ატყდება. ეს კი აიძულებს პრეზიდენტს, პუტინთან ურთიერთობაში მაქსიმალურად ხისტი იყოს. სირიასთან დამოკიდებულებაში ეს ასადის ხელისუფლებიდან წასვლა იქნება, უკრაინასთან მიმართებით კი ეს იქნება ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უკრაინული არმიის გაძლიერება და უკრაინის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ეპოქა, როცა ტრამპი-პუტინის გარიგების საშიშროება იყო, წარსულს ჩაბარდა. ახლა საკითხი ასე დგას: შეძლებს თუ არა ტრამპი, პუტინს უკან დაახევინოს?! მომავალი საერთაშორისო ურთიერთობებიც ამ სქემით წარიმართება.

ტრამპმა სეშნსი მოხსნა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ქვეყნის გენერალური პროკურორი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ჯეფ სეშნსის გათავისუფლების შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა მიკრობლოგ „ტვიტერზე“ დაწერა.

გადადგომამდე ტრამპი სეშნსს ხშირად აკრიტიკებდა. ის ღიად აცხადებდა, რომ სეშნსის საქმიანობით უკმაყოფილო იყო.

დაახლოებით ერთი წლის წინ ჯეფ სეშნსმა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ტრამპის კამპანიასა და რუსეთს შორის შესაძლო გარიგების საქმის ზედამხედველობაზე უარი განაცხადა, რაც ტრამპთან შეთანხმებული არ იყო.

სეშნსის მოვალეობას დროებით იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, მეთიუ უითეკერი შეასრულებს.

რასმუსენმა ბელარუსი გააფრთხილა

ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბელარუსს ურჩია, რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოსა და უკრაინის მაგალითს მიბაძოს.

ამის შესახებ რასმუსენმა „პოლონური რადიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ვლადიმერ პუტინის მისწრაფება, ბელარუსის რუსეთში ინტეგრირება მოახდინოს, რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

– უეჭველია, რომ პუტინი ზეწოლას განახორციელებს ბელარუსზე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ აქეზებს რუსეთი ბელარუსს, რუსეთის ბაზები განათავსოს თავის ტერიტორიაზე და უზრუნველყოს ბელარუსის ტერიტორიაზე რუსული ძალების ყოფნა, – განაცხადა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ბელარუსი ჯერ არ არის დემოკრატიული სახელმწიფო, თუმცა ბელარუსის მოსახლეობამ საქართველოსა და უკრაინის გამოცდილებაზე უნდა მოახდინოს ორიენტირება, რათა დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი მომავალი.

ტაჯიკეთში ციხეში ბუნტის დროს 13 პატიმარი დაიღუპა

ტაჯიკეთში ერთ-ერთ ციხეში ბუნტის დროს 13 პატიმარი დაიღუპა. ბუნტი 7 ნოემბერს, საღამოს, ქალაქ ხუჯანდაში მდებარე ციხეში მოხდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ციხეში მომხდარი ბუნტის ფაქტი დაადასტურა, თუმცა უფრო დეტალური ინფორმაცია არ გაუსაჯაროებია.

თავის მხრივ, საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა, „ისლამური სახელმწიფოს“ წევრმა, დაცვის წევრის განიარაღება შეძლო და სროლა დაიწყო.

შედეგად ციხეში შტურმი დაიწყო, რის შედეგადაც 13 პატიმარი მოკლეს.

კატალონია: 63 წლის მამაკაცი პრემიერის მკვლელობას აპირებდა

კატალონიის სამართალდამცველებმა დააკავეს მამაკაცი, რომელიც, სავარაუდოდ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესის მკვლელობას ამზადებდა. ამის შესახებ ესპანური მედია იუწყება.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულია ქალაქ ტერასას მცხოვრები 63 წლის პირი, რომელსაც იარაღზე ნებართვა ჰქონდა. ის სამი კვირის წინ დააკავეს და ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

ესპანური მედიის ინფორმაციით, დაკავებული პრემიერის მოკვლას იმ მიზეზით აპირებდა, რომ ესპანეთის მთავრობა დიქტატორ ფრანკოს ექსჰუმაციას აპირებს.

დაკავებულის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით იარაღი ამოიღეს.

სროლა კალიფორნიის ბარში — დაიღუპა 12 ადამიანი

კალიფორნიის შტატში, ქალაქ თაუზანდ-ოქსში, ბარში სროლის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა.

დაღუპულთა შორის არის თავად თავდამსხმელიც.

მამაკაცმა ბარის შესასვლელთან ჯერ დაცვის წევრს ესროლა, ხოლო შემდეგ ბარში შევიდა და იქ მყოფებს ცეცხლი გაუხსნა.

დაშავებულებს შორის შერიფის მოადგილეა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ☎ 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ჩაკვეტაძე დორტმუნდს აინტერესებს

გერმანული სტატისტიკური ვებ-გვერდი ტრანსფერმარკეტი ქართველი ფეხბურთელის გიორგი ჩაკვეტაძის შესახებ საინტერესო და სასიამოვნო ინფორმაციას ავრცელებს. საქართველოს ნაკრების 19 წლის ნახევარმცველი ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბს სურს და ერთ-ერთი მათგანი დორტმუნდია.

როგორც ვებგვერდზე წერია, დორტმუნდის, ლევერკუზენისა და აინტრახტის სკაუტები ბორდოსა და გენტის ევროპის ლიგის შეხვედრას დაესწრნენ და მათი სამიზნე სწორედ ჩვენებური იყო.

– ჩაკვეტაძე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტალანტად ითვლება, ამიტომ ის უკვე ბევრი გუნდისთვის საინტერესო ფეხბურთელია. უკვე წარსულში იწერებოდა, რომ ჩაკვეტაძე ბაიერნს სურდა, ახლა კი ქართველმა დორტმუნდის ყურადღება მიიქცია. ეს გუნდი ვუნდერკინდების აღმოჩენაში ერთ-ერთი საუკეთესოა, – წერია ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ იმავე ტრანსფერმარკეტის მონაცემებით, გიორგი ჩაკვეტაძის სატრანსფერო ღირებულება 5 მილიონი ევროა. თუმცა, გენტი ასეთ ფასად თავის „მარგალიტს“ არ შეელევა და, სავარაუდოდ, გაცილებით მაღალ ფასს დაადებს.

ტურის ცენტრალური მატჩი ქვემოქართლური დერბია

ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. დასკვნით ტურებში ბევრი რამ უნდა გადაწყდეს. 32-ე ტურშიც არის ისეთი თამაშები, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს სატურნირო ცხრილზე.

9 ნოემბერი

ხუსთავი-სიონი

19:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2

ქვემოქართლური დერბი და ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ორივე გუნდისთვის. რუსთავი 2 ქულით უსწრებს ბოლნისის სიონს, რომელიც მოგების შემთხვევაში ადგილს გაუცვლის თანარეგიონელს.

რუსთავი კი, მოგების შემთხვევაში, სერიოზულ ჰანდიკაპს შეიქმნის და გასავარდნ ზონას მნიშვნელოვნად გაექცევა. თუ შეხვედრა ფრედ დასრულდა, ბოლო ტურებში ის გადარჩება, რომელიც უკეთ ითამაშებს დარჩენილ შეხვედრებს. ასე რომ, ძალიან საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

10 ნოემბერი

ლოკომოტივი-საბუჰთალო

17:00 მიხეილ მესხი 2

ლოკომოტივი თითქოს მშვიდად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ტურებში „აურია“ და ახლა შანსია ელიტიდან დაქვეითება დაემუქროს. მართალია, სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ, ასე თუ გააგრძელა, საფრთხის ქვეშ დადგება. მით უფრო, რომ მეტოქედ საჩემპიონოდ შემართული საბურთალო ჰყავს, რომელიც პირველი სერიოზული ტიტულის მოსაპოვებლად ყველაფერს გაიღებს მოედანზე.

დილა-ჯოლხეთი

19:00 გორი. თენგიზ გურჯანაძე

კოლხეთი განწირულია. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გადათამაშებაში მოხვდეს და იქაც არ არის გარანტირებული ეროვნულ ლიგაში დარჩენა. თუმცა, კოლხები ალბათ პირდაპირ დატოვებენ ეროვნულ ლიგა 1-ს.

დილას კი შანსი აქვს ოთხეულისთვის იბრძოლოს, რომელიც დიდი ალბათობით ევროსაგზურის მომტანი იქნება. საამისოდ, კოლხები უნდა დაამარცხონ და სხვა მატჩების იმედადაც უნდა იყვნენ.

11 ნოემბერი

სამტრედია-ტორპედო

15:00 ზესტაფონი. დავით აბაშიძე

სამტრედია ფლეი აუტს ვერ ასცდება. რამდენიც არ უნდა მოინდომონ იმერლებმა, საქმე ის მიდის, რომ მეორელიგელ გუნდთან მოუწევს ელიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხის გადაწყვეტა.

ტორპედო კი მორიგი მედლისკენ მიიწევს. სავარაუდოდ, ეს ბრინჯაო იქნება, მაგრამ არის შანსი ვერცხლში გადაცვალონ, რადგან უშუალო მეტოქე თბილისის დინამო კრიზისშია. ტორპედო იმერულ დერბიში ისედაც ფავორიტია.

დინამო-ჩიხურა

18:00 თბილისი. დინამო არენა

სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი წელს ტიტულის გარეშე დარჩება. დინამოელებმა საქართველოს თასზე ნახევარფინალში მეორეადგილოსან გაგრასთან წააგეს, ხოლო ჩემპიონატში საბურთალოს 7 ქულით ჩამორჩებიან და მისი აღმოფხვრა ურთულესი საქმე იქნება. მეტიც, თუ ასე გააგრძელეს, შესაძლოა, მე-2 ადგილიც დაკარგონ.

ჩიხურას კი წაგება არ აწყობს, რადგან ზურგს უკან მდევრის სუნთქვა ესმის და მე-4 ადგილი სასწორზე დევს. ეს ადგილი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, დიდი ალბათობით, ევროსაგზურის მომტანია.

სატუნირო ცხრილი:

1.საბურთალო	31	22	4	5	57-26	70
2.დინამო	31	19	6	6	63-28	63
3.ტორპედო	31	16	8	7	49-25	56
4.ჩიხურა	31	16	6	9	46-28	54
5.დილა	31	13	11	7	50-39	50
6.ლოკომოტივი	31	9	7	15	34-48	34
7.რუსთავი	31	6	12	13	29-40	30
8.სიონი	31	7	7	17	32-53	28
9.სამტრედია	31	4	9	18	26-61	21
10.კოლხეთი	31	4	8	19	25-63	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა.

მანჩესტერისა და ჰოფენჰაიმის საოცარი ქამბექები

ე ჯგუფი

ბაიერნი-აიაქსი 2:0

მიუნხენი. ალიანს არენა

1:0, 2:0 ლევანდოვსკი (31პ, 71)

ისევ 2:0, როგორც 2 კვირის წინანდელ მატჩში და ისევ ბავარიელთა გამარჯვებით. ჩავთვალოთ რომ, მიუნხენელები უკვე ფლეი ოფში არიან. აქ უკვე სხვა მოსაზრება გამორიცხულია. რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბაიერნი მის მიღმა დარჩეს.

სტუმრები რომ კლასით ჩამორჩებოდნენ, ისედაც ნათელი იყო. აეკმა თავიდანვე კაპიტულაცია გამოაცხადა და ლევანდოვსკიმ 2 გოლიც გაიტანა. მომენტები მასაც და სხვებსაც კიდევ ჰქონდათ, მაგრამ მოკრძალებულ ანგარიშს დასჯერდნენ.

ბენფიკა-აიაქსი 1:1

ლისაბონი. და ლუში

1:0 ჯონასი (29), 1:1 ტადიჩი (61)

2 კვირის წინ უფრო ცხელი მატჩი შემოგვთავაზეს ორივე გუნდის ფეხბურთელებმა და მაშინ აიაქსმა მინიმალური ანგარიშით მოიგო. ამჯერად მოედანზე უფრო სიწყნარე იყო, მაგრამ 2 გოლი გავიდა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ და იმ მდგომარეობით აიაქსს წამოეწივნენ, მაგრამ ტადიჩმა არ ისურვა მდევრის სუნთქვის მოსმენა, ანგარიში გაათანაბრა და ფლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	4	3	1	0	7:1	10
2.აიაქსი	4	2	2	0	6:2	8
3.ბენფიკა	4	1	1	2	4:6	4
4.აეკი	4	0	0	4	2:10	0

ფ ჯგუფი

სიტი-შახტარი 6:0

მანჩესტერი. ეტიჰადი

1:0 დ.სილვა (13), 2:0 ჟეზუსი (24პ), 3:0 სტერლინგი (49), 4:0 ჟესუსი (72, პენ), 5:0 მარეზი (84), 6:0 ჟეზუსი (90)

გასული სეზონის ჩათვლით, სიტის ზედიზედ 3 საშინაო მატჩი ჰქონდა წაგებული ჩემპიონთა ლიგაზე, ამიტომაც იყო, გამარჯვებას მოწყურებულ გულშემატკივარს თავიდანვე რომ მოუწყვეს სანახაობა.

გოლების ფეიერვერკი და ანგარიშიდანაც ჩანს, რამხელა უპირატესობას ფლობდნენ მასპინძლები.

ლიონი-ჰოფენჰაიმი 2:2

ლიონი. გრუპპამა

1:0 ფეკირი (19), 2:0 ალვარო (28), 2:1 კრამარიჩი (65), 2:2 კადერაბეკი (90)

გაძევება: ნუჰუ (51, ჰოფენჰაიმი)

2 თამაშია ორივე გუნდი ძალიან ასიამოვნებს ფეხბურთის მოყვარულებს. თუ პირველი მატჩი 3:3 დასრულდა, ამჯერად ერთმანეთს „მხოლოდ“ 2-2 აკმარეს.

ლიონი დამაჯერებლად თამაშობდა. შეხვედრის მიმდინარეობას აკონტროლებდა, მალევე დაწინაურდა და მთლიანად ჩაიგდო ინიციატივა ხელში. მალევე მე-2 გოლიც და ინტრიგა თითქოს მოკვდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰოფენჰაიმს მოედნიდან ფეხბურთელი გაუძევეს. თუმცა, გერმანული ხასიათი გამოაჩინეს და ჯერ კრამარიჩმა, ხოლო ბოლოს კადერაბეკმა ჰოფენჰაიმს ქულა მოუტანეს.

სატუნირო ცხრილი:

1.სიტი	4	3	0	1	12:3	9
2.ლიონი	4	1	3	0	9:8	6
3.ჰოფენჰაიმი	4	0	3	1	8:9	3
4.შახტარი	4	0	2	2	4:13	2

ჯ ჯგუფი

პრზენი-ჩეალი 0:5

პლზენი. დოოსან არენა

0:1 ბენზემა (21), 0:2 კაზემიროუ (23), 0:3 ბენზემა (37), 0:4 ბეილი (40), 0:5 კროოსი (67)

რეალი ახალი მწვრთნელის, სან-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მილტონ ჰეიგმა იტალიისთვის გაფართოებული შემადგენლობა შეკვეცა

იტალიასთან საყოველთაოდ მნიშვნელოვანი მატჩისთვის საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მზადებას აგრძელებს. აქამდე გუნდი საფრანგეთში ვარჯიშობდა, ამჯერად უკვე იტალიაში გადაინაცვლეს. როგორც მოგეხსენებათ, 10 ნოემბერს, 18 საათზე, „ბორჯღალოსნები“ ფლორენციაში, „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე იტალიის ეროვნულ ნაკრებს ერკინება.

მილტონ ჰეიგმა გაფართოებული შემადგენლობა ოდნავ გაცხრილა და 34 მორაგბის ნაცვლად აპენინელებთან ჯახისთვის 28 მორაგბე ემზადება. მათგან 23-ს ჰეიგი დღეს დაასახელებს.

მილტონ ჰეიგი:

– ამ მატჩის ირგვლივ ძალიან დიდი ინტერესია ბრიტანული მედიის მხრიდან. ბოლო 2 კვირის განმავლობაში ისინი არაერთხელ დამიკავშირდნენ. დიდი მოლოდინებია საფრანგეთსა და, რა თქმა უნდა, იტალიაში. რამდენიმე ახალზელანდიური გამოცემაც კი დამიკავშირდა. აქედან გამომდინარე, მოლოდინი დიდია.

ეს ინტერესი იქიდან გამომდინარეობს, რომ გრძელდება საუბრები იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა გახდეს საქართველო 6 ერის წევრი. ეს იქნება ფორმატის შეცვლა, თუ ჩანაცვლების მეთოდი. ჩვენც რა თქმა უნდა გვსურს, რომ ეს „საუბრები“ გაგრძელდეს და მათ გასაგრძელებლად შესაბამისი შედეგები დავდოთ. მაგრამ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, იტალიამ საკმაოდ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში, მას შემდეგ, რაც მათი მწვრთნელი კონორ ოში გახდა.

გარდა ამისა, ძებრესა და ბენეტონს ძალიან კარგი მწვრთნელები ჰყავთ, ერთ-ერთს ვიცნობთ კიდეც – მაიკლ ბრედლი, რომელიც 2015 წლის მსოფლიო თასზე ჩვენთან მუშაობდა. ეს გუნდები ევროტურნირებზე ისე თამაშობენ, როგორც იტალიის ნაკრებს სჭირდება. იტალიის ნაკრების წევრების უმეტესობა ხომ ამ გუნდის მოთამაშეები არიან. და ისინი ტურნირებს, სადაც ძებრე და ბენეტონი თამაშობენ იყენებენ იმისთვის, რომ იტალიის ნაკრების თამაში გააუმჯობესონ. ეს მთავარი მწვრთნელის, ოშის ძალიან ჭკვიანური მიდგომაა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ტრავმების გამო ჩვენს გუნდს რამდენიმე მოთამაშე ვერ დაეხმარება: კოტე მიქაუტაძე, დავით კაჭარავა, კარლენ ასიეშვილი, გიორგი ნემსაძე, ვიტო კოლელიშვილი, კოკი თხილაიშვილი, მირიან მოდებაძე, მერაბ კვირიკაშვილი და გურამ შენგელია.

10 ნოემბრის მატჩისთვის სამი დებიუტანტი ემზადება: ბურჯები გურამ გოგიჩაშვილი და ბექა გიგაშვილი, ასევე მგეზავი თედო აბჟანდაძე. „ბორჯღალოსნების“ კვართით 5 წლის წინ, ერთადერთხელ უთამაშია შუამარბ ზურაბ ძნელაძეს, რომელიც მას შემდეგ გაფართოებულ შემადგენლობაში პირველად მოხვდა.

ჰეიგს დებიუტანტების ეიმედება და მათ ასე ახასიათებს:

– ეს ბიჭები საკმაოდ კარგი მოთამაშეები არიან: გურამ გოგიჩაშვილი, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს რასინგში; ბექა გიგაშვილი, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში ვაკვირდებოდით გრენობლში, სადაც დავით ქუბრიაშვილთან ერთად თამაშობს და მისგან ბევრს სწავლობს. გიგაშვილს ორივე ბურჯის პოზიციაზე შეუძლია თამაში და შარშან გრენობლში კვაჭის პოზიციაზე 5 თამაშის ჩატარებაც მოუწია. ამ ბიჭებს შანსი საკმაოდ რთულ ფაზაში ეძლევათ და თუ ისინი შეძლებენ კარგად თამაშს, რაშიც დარწმუნებული ვარ, მაშინ ნებისმიერ სერიაში კარგად ითამაშებენ. თედო აბჟანდაძეს ყველა კარგად იცნობს. ჩვენ მას 18 თვის განმავლობაში ვაკვირდებით, ჯერ მხოლოდ 20-წლამდელია და მიმაჩნია, რომ ძალიან ნიჭიერი მორაგბეა – ერთ-ერთი ბუნებრივად ყველაზე ნიჭიერი მორაგბე, რომლის წვრთნის პატივიც საქართველოში მქონია. ასევე გვყავს „ტურბო“ (ზურაბ ძნელაძე), რომელიც დიდი დროის განმავლობაში არ ყოფილა ნაკრებში. ის საკმაოდ ფიზიკურია და ბუნებრივად აქვს ოფლოუდების გაკეთების ნიჭი. მასში კიდევ ის მოგვწონს, რომ შეუძლია როგორც ცენტრში, ასევე ფრთაზე და 15 ნომერზე თამაში.

ზემოთ ნახსენები მორაგბეების გარდა, 10 ნოემბერს „ბორჯღალოსნების“ შერკინების მწვრთნელის რანგში დებიუტი ექნება ინგლისელ შერკინების მწვრთნელ გრეემ როუნთრის.

ჰეიგის 28-კაციანი სია ასეთია:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ზურაბ ჟვანია, შალვა მამუკაშვილი, ბადრი ალხაზიშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ლევან ჩილაჩავა, დუდუ ქუბრიაშვილი, ბექა გიგაშვილი, ლაშა ლომიძე, შალვა სუთიაშვილი, ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე, ბექა ბიწაძე;

უკანა ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გიორგი ბეგაძე, გელა აფრასიძე, ლაშა ხმალაძე, თედო აბჟანდაძე, მერაბ შარიქაძე, ლევან მჭედლიძე, გიორგი კვესელაძე, გიორგი კოშაძე, ლაშა მალაღურაძე, ზურაბ ძნელაძე, სოსო მათიაშვილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მონადირეს მეგობარი ციყვში აერია და ესროლა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებ მონადირეს მეგობარი ციყვში აერია და სახეში ესროლა.

ორი მამაკაცი ქალაქ ალეგანის მახლობლად ტყეში სანადიროდ გაემართა. ისინი გაიყვნენ და ერთ-ერთმა შენიშნა, რომ მისგან 18 მეტრში მდებარე ხის მახლობლად რაღაც წითურმა, ციყვის კუდის მსგავსმა გაიელვა. მონადირემ თავისი 12-კალიბრიანი თოფიდან ვარაუდზე ისროლა, თუმცა მისი მსხვერპლი აღმოჩნდა მისივე მეგობარი, რომელსაც ნარინჯისფერი კამუფლირებული მონადირის კოსტიუმი ეცვა და არა ციყვი.

საფანტი მამაკაცს სახეში მოხვდა და თვალი და ყბა სერიოზულად დაუზიანა. მონადირემ დაუყოვნებლივ გამოიძახა მაშველები. დაშავებული შვეულმფრენით ალეგანის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცისთვის მიყენებული ჭრილობები მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ადგილობრივმა პოლიციამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო. მონადირეს ცეცხლსასროლ იარაღთან გაუფრთხილებლობით მოპყრობის ბრალდება ემუქრება.

ამერიკელი ნიანგების აუზში ჩახტა და გადარჩა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-ოგასტინში მამაკაცმა გასართობ პარკ „ალიგატორების ფერმაში“ მისი დახურვის შემდეგ შეაღწია და ნილოსის ნიანგებით სავსე აუზში ჩახტა.

ტრუსებში, მაისურსა და შლოპანცებში გამოწყობილი მამაკაცი პარკში დაახლოებით საღამოს რვა საათზე შეიპარა, როდესაც ის დამთვალიერებლებისთვის დახურული იყო. ამისთვის მას რამდენიმე კედელსა და ღობეზე გადაძრომა დასჭირდა, მათ შორის მავთულხლართებიანზეც. გარკვეული დროის განმავლობაში ის პარკის ტერიტორიაზე დაბოდიალობდა, შემდეგ კი ერთ-ერთ შენობაზე აძვრა და მისი სახურავიდან გადახტა აუზში, რომელშიც სამი, თითოეული დაახლოებით 3,5 მეტრის სიგრძის ნიანგი იმყოფებოდა.



ერთ-ერთი რეპტილია მას ზურგიდან მიეპარა, კბილები ფეხში ჩაასო და მის წყალში ჩაძირვას შეეცადა. მამაკაცმა წინააღმდეგობის გაწევისას მას თავისუფალი ფეხი ჩასცხო და ამის შედეგად მტაცებლისგან თავის დაღწევა მოახერხა, თუმცა ფეხზე ნიანგის ნაკბილარები დარჩა, საიდანაც სისხლი სდიოდა. ის სამი მეტრის სიმაღლის კედელზე აძვრა, რომლის ქვეშაც ორასამდე ალიგატორი იმყოფებოდა, მასზე წონასწორობის დაცვით გაიარა და მიიმალა.

დაახლოებით დილის შვიდ საათზე ადგილობრივ პოლიციაში ერთ-ერთმა მოქალაქემ დარეკა და განაცხადა, რომ საეჭვო ადამიანი შენიშნა, რომელიც ტრუსებში გამოწყობილი ბუჩქებში იმალებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციას პარკის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ სათვალთვალო კამერებმა გადაიღეს მამაკაცი, რომელიც ნიანგების აუზში ჩახტა. შემთხვევის ადგილზე მამაკაცის შლოპანცი ნახეს.

ამ აურზაურში დამნაშავე 21 წლის ბრენდონ ჰეტფილდი აღმოჩნდა. როდესაც ის პოლიციელებმა ბუჩქებიდან გამოიყვანეს, მან განაცხადა, რომ ალიგატორმა უკბინა. მას სხვის ტერიტორიაზე უკანონოდ შეღწევის, ხულიგნობისა და პირობითი სასჯელის პირობების დარღვევის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დედა 12 წელი კომაში მყოფი შვილის საწოლს არ მოშორებია

ჩინეთში პაციენტმა ვან შუბაომ კომაში 12 წელი გაატარა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ხანშიშესული დედა ოცდაოთხი საათი მზრუნველობას არ აკლებდა.

ვანი 2006 წელს შანდუნის პროვინციის ქალაქ შოუგუანში ავარიაში მოყვა. 36 მამაკაცი მთლიანად პარალიზებული გახდა და კომაში ჩავარდა. მკურნალობის მთელი ხარჯები საკუთარ თავზე მისმა დედამ, იმ დროს 63 წლის ვეი მინინმა აიღო. ქალმა, რომელსაც მეუღლე დიდი ხნის წინ დაეღუპა, ექიმებს მთელი თავისი ნაგროვები ფული გადასცა და წლების განმავლობაში შვილის საწოლთან აღამებდა და ათენებდა. როდესაც ქალს ფინანსები ამოეწურა, 120 ათასი იუანი ისესხა.

რაღაც მომენტში ვეის ფული საერთოდ აღარ ჰქონდა, ხოლო ვალის გასტუმრება უწევდა. ამის გამო მას მთელი თვის განმავლობაში პირში ლუკმა არ ჩაუდვია. ამ პერიოდში მან წონაში 20 კილოგრამი დაიკლო და ახლა სულ 30 კილოგრამს იწონის.

ამ ყველაფრის მიუხედავად, 75 წლის ქალბატონი დილით ხუთ საათზე დგება, შვილს პირს ბანს და აბანავებს, კვებავს, მასაჟებს უკეთებს და საწოლში აბრუნებს, რომ ნაწოლები არ გაუჩნდეს.

ახლახან კი ვანმა პირველად გაახილა თვალები და დედას გაუღიმა. ქალი ბედნიერებისგან მეცხრე ცაზეა და ამტკიცებს, რომ მისი შვილი გონზეა და ყველაფერი ახსოვს, თუმცა ლაპარაკსა და მოძრაობას ვერ ახერხებს.

– იმედი მაქვს, რომ ის ოდესმე ბოლომდე გამოჯანმრთელდება. ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ის ისევ დამიძახებს „დედას“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ვეიმ.

ლეოპარდის ნადირობა ტურისტებმა ვიდეოზე აღბეჭდეს

ტანზანიის ეროვნულ პარკ რუახაში ტურისტმა ვიდეოზე გადაიღო ლეოპარდის ანტილოპა იმპალაზე ნადირობის მომენტი. ვიდეორგოლი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული. ანტილოპა იმ ხის ქვეშ შეეფარა, რომლის ტოტებშიც ლეოპარდი იყო დამალული და თავის მომენტს უცდიდა.

– ლეოპარდი ნელ-ნელა მიიპარებოდა ხის ტოტებში, ანტილოპა კი საერთოდ ვერ გრძნობდა საფრთხის მოახლოებას, – ყვება ვიდეორგოლის ავტორი ფილ ჰენკინსონი, – შემდეგ მტაცებელი გაინაბა, ერთი თუ ორი წამი და ის მას თავზე დაახტა.

ანტილოპა და ლეოპარდი მიწაზე დაგორდნენ იმ მიმართულებით, სადაც პავიანების ჯოგი იმყოფებოდა. მაიმუნები ღრიანცელით მიმოიფანტნენ. მალე მათი ხმაური მიწყნარდა, ზევით ავარდნილი მტვერიც დაჯდა და ლეოპარდი და მიწაზე უძრავად დაგდებული ანტილოპა გამოჩნდნენ.

მანჩესტერისა და ჰოფენჰაიმის საოცარი ქამბექები

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ტიაგო სოლარის ხელში თავდაჯერებულად თამაშობს. მადრიდელებმა სტუმრად ისე დაამარცხეს პლზენი, რომ კითხვის ნიშნები არ დაუტოვებიათ. მართალია, დაცვაში ცოტა მოიკოჭლებდნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუძლია გამარჯვებაში.

პლზენი მადრიდში უფრო აგრესიულად გამოიყურებოდა, ვიდრე საკუთარ მოედანზე. ეს უფრო მადრიდელების დამსახურება უნდა იყოს. რეალმა 2 წუთში გადაწყვიტა მატჩის ბედი, როდესაც ბენზემამ და კაზემირომ შეაგდეს, მერე კი სოლარის შეგირდებს საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

ცსკა-ჰომა 1:2

მოსკოვი. ლუჟნიკები

0:1 მანოლასი (4), 1:1 სიგურდსონი (51), 1:2 პელეგრინი (59)

გაძევება: მაგნუსონი (56, ცსკა)

მატჩი ცსკასთვის ცუდად დაიწყო – უკვე მე-4 წუთზე კოსტას მანოლასმა გახსნა ანგარიში. თუმცა, რომაელებმა მალევე გადაულოცეს ინიციატივა მეტოქეს, არც კონტრშეტევებზე გადადიოდნენ, მაგრამ საკუთარ საჯარიმოს მისადგომებს კარგად იცავდნენ. ერთია, ასეთ დროს ერთი ჩავარდნაც სავალალოა და ასეც მოხდა – რუსმა არმიელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ჯერ მაგნუსონი გაუძევეს მოედნიდან, მალევე კი პელეგრინიმ გაიტანა და რომა კვლავ დააწინაურა.

დარჩენილ დროში იტალიელებს ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ.

სატუნიო ცხრილი:

1.რომა	4	3	0	1	10:4	9
2.რეალი	4	3	0	1	10:2	9
3.ცსკა	4	1	1	2	4:7	4
4.პლზენი	4	0	1	3	3:14	1

ჩ ჯგუფი

იუვენტუსი-მანჩესტერი 1:2

ტურინი. ალიანს სტადიუმი

1:0 რონალდო (65), 1:1 მატა (86), 1:2 მარსიალი (89)

მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშს, ხოლო 65-ე წუთზე ბონუჩის შედევრალურ პასს რონალდუს არანაკლები გოლი მოჰყვა.

ამის შემდეგაც დე ხეას კარი იუვენტუსის თითქმის ყველა ფეხბურთელის სამიზნე გახდა. მოკლე ხანში ტურინელებმა იმდენი მომენტი შექმნეს, 2 თამაშს რომ ეყოფოდა. თუმცა, ენდშპილში მოურინიოს ცვლილებებმა შედეგი გამოიღო: ჯერ მატამ ფილიგრანულად დაჰკრა ჯარიმა, ხოლო მორიგი სტანდარტის შემდეგ ალექსს სანდრომ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და მანჩესტერმა მე-2 ადგილი შეინარჩუნა.

ვალენსია-იანგ ბოიზი 3:1

ვალენსია. მესტალია

1:0 მინა (14), 1:1 ასალე (37), 2:1 მინა (42), 3:1 სოლერი (56)

გაძევება: სანოგო (77, იანგ ბოიზი)

მატჩი მხიარულად დაიწყო. ორივე გუნდი ქმნიდა მომენტებს და სასწორის პინა ვის მხარეს გადაიხრებოდა, არავინ იცოდა. სანტი მინას გოლმა ეს პინა ვალენსიის მხარეს გადაწონა. მართალია, ასელემ პირველ ტაიმში შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ შესვენებამდე მინამ მეორედაც იხეირა და ვალენსია ანტრაქტზე უპირატესობით გავიდა.

მესტალიამ კიდევ ერთხელ გაიხარა, როდესაც სოლერმა ანგარიშში სხვაობას სოლიდური სახე მისცა. შემდეგ იანგ ბოიზს სანოგო გაუძევეს და ვალენსიისთვის გამარჯვებამდე მისვლა ტექნიკის საქმე იყო.

სატუნიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	4	3	0	1	7:2	9
2.მანჩესტერი	4	2	1	1	5:2	7
3.ვალენსია	4	1	2	1	4:4	5
4.იანგ ბოიზი	4	0	1	3	2:10	1

ასტროპროგნოზი

9 ნოემბრისათვის

ვერძი – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებასა და სულიერ სრულყოფას. შესაძლოა, გარშემომყოფებმა იმედი გაგიცრუონ. **კურო** – მიიღეთ მხოლოდ ჯანსაღი საკვები, დაკავდით სპორტით. ყურადღება გაამახვილეთ სულიერ სიმშვიდეზე. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მხრივ მცირეოდენი პრობლემებია მოსალოდნელი, სავარაუდოდ, მსუბუქი გაციება. დარჩით სახლში და გამოშუშდით. **კირჩხიბი** – ნუ მიირთმევთ უხარისხო საკვებს. თქვენს რაციონში ხილი და ბოსტნეული უნდა ჭარბობდეს. **ლომი** – სამსახურში უფროსობასთან პატარა კონფლიქტი გელით. იყავით კეთილგონიერი და სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან და მეგობრებთან კავშირი განაახლეთ. შორსმიმავალ გეგმებს ნუ დაისახავთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. რისკი გამართლებულია. ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **თხის რქა** – ილუზიებს არ აჰყვეთ. რეალობა საღად შეაფასეთ. უსარგებლო ფიქრებით გონებას ნუ გადაიტვირთავთ. **მერწყული** – აქტიურობა საჭირო არ არის. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. მთავარია, სულიერად მშვიდად იყოთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. შესაფერისი პერიოდია ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის არაყი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 15. რძის პროდუქტი; 17. პორტატიული მფრინავი აპარატი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. ფულის სარგებლით გამასესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სამხედრო სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. საჭადრაკო ამოცანა; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდა; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სნო; 16. საცივი; 18. უშტი.

თარაზულად: 1. კავანი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სატრაპი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 16. ემბაზი; 17. ბრა; 19. ბასილაშვილი; 20. ზესხო; 21. დიზელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუმატრა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. მერანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მანია; 18. ლისი.

თარაზულად: 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. ჰაკერი; 10. კამიუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისლანდია; 20. ნეგროიდი.

ბელგიის მეფის უკანონო ქალიშვილი დნმ-ის ანალიზსა და მემკვიდრეობის წილს ითხოვს

სასამართლომ ბელგიის ყოფილ მონარქს ალბერტ II-ს დნმ-ის ანალიზისთვის საკუთარი ნერწყვის ჩაბარება დააკისრა, რათა ბავშვის შესაძლო მამობა შემოწმდეს.

ბელგიელი მხატვარი დელფინ ბოელი ალბერტ II-გან დნმ-ის ანალიზის ჩაბარებას 2013 წლიდან ითხოვს. ის თავს ყოფილი მეფის უკანონო ქალიშვილად თვლის და მისი მემკვიდრეობის ნაწილზე აცხადებს პრეტენზიას.

ბოელის დედა, ბარონესა სიბილ დე სელი-ლონგშანი ამტკიცებს, რომ ალბერტ II-ს საყვარელი იყო. მათი ურთიერთობა 1966 წლიდან 1984 წლის ჩათვლით გრძელდებოდა.

– ვფიქრობდი, რომ ინფექციის გამო, ბავშვები არ მეყოლებოდა და ამიტომ სექსის დროს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს არ ვიყენებდით, – განმარტა მან სატელევიზიო ინტერვიუში. დელფინი 1968 წელს დაიბადა და როდესაც 18 წლის გახდა, მაშინ გაიგო საკუთარი მამის ვინაობა.

ალბერტ II ბოელის მამობას უარყოფს. სასამართლოს გადაწყვეტილება ემსახურება იმას, რომ ამ საქმეს საბოლოო წერტილი დაესვას. თუ ყოფილი მეფის იურისტები ვერაფერს მოიფიქრებენ, მაშინ მას მოუწევს დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და ნერწყვი დნმ-ის ანალიზისთვის ჩააბაროს. ტესტზე უარის თქმის შემთხვევაში, ეს დანაშაულის აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ბოელი მის კანონიერ მემკვიდრედ ჩაითვლება.

ჩვილ ბავშვს ზედმეტი კიდურები მოაშორეს

ინდოეთის მეგხალაიას შტატში შვიდი თვის ბავშვს პარაზიტი-ტყუპისცალი მოაშორეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გოგონა ორი ზედმეტი ხელითა და ფეხით დაიბადა, ასევე გამონაზარდებით მკერდის ქვედა ნაწილსა და მუცელზე. ეს განუვითარებელ ტყუპისცალს წარმოადგენდა. ემბრიონული განვითარების სტადიაში ყოფნის დროს ერთმა ჩანასახმა მეორე გადაყლაპა.

ოპერაციის დროს, რომელიც ორსაათ-ნახევარი გრძელდებოდა, ბავშვს ოთხი ზედმეტი კიდური და პარაზიტი-ტყუპისცალი მოაშორეს.

– ეს მეტად მძიმე შემთხვევა იყო, – ამტკიცებს ქირურგი, – პარაზიტი-ტყუპისცალი ცოცხალი ტყუპისცალის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს იყენებდა. ღვიძლი, ნაწლავები გოგონას უკანალიდან გამოდიოდა.

სილამაზის კონკურსის მონაწილეებმა დუნდულების გამო იჩხუბეს

სილამაზის კონკურსი მის ბუმბუმ 2018, რომელზეც, ტრადიციულად, ბრაზილიის ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელი ვლინდება, არეულობით დასრულდა.

კონკურსის მონაწილეთა დაჯილდოების შემდეგ სცენაზე მასაჟისტი ალინი უვა გამოვარდა, რომელიც ასევე მონაწილეობდა კონკურსში, თუმცა გამარჯვებულთა სამეულში ვერ მოხვდა. გოგონამ კონკურსის გამარჯვებულს, მოდელ ელენ სანტანას ლენტი ჩამოგლიჯა და განაცხადა, რომ ის უნდა ყოფილიყო გამარჯვებული. უვა მიიჩნევს, რომ ის საბოტაჟის მსხვერპლი გახდა, ვინაიდან მისი დუნდულები უფრო დიდი და ნამდვილია, ვიდრე სანტანასი.

– მე გამარჯვებულს ლენტი წავართვი, ვინაიდან მხოლოდ მე ვიმსახურებდი ამ ტიტულს, – განუცხადა გოგონამ ჟურნალისტებს, – მე აქ ნამდვილ ბრაზილიურ დუნდულებს წარმოვადგენ და ამას ვერავინ წამართმევს, იმ სამ გოგონას კი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს, ყალბი დუნდულები აქვთ, ნამდვილი სილიკონის უკანალები. ეს ნამდვილი უსამართლობაა.

– მართალია, მან ლენტი წამართვა, მაგრამ ვერასოდეს წამართმევს ჩემს ტიტულს, – განაცხადა სანტანამ, – მე ყველაზე მეტი ვიშრომე და ჯილდო დავიმსახურე, ვინაიდან მე უფრო მაგარი დუნდულები მაქვს. დამარცხებულს წაგებასთან შეგუება უნდა შეეძლოს. უვას ადგილზე მე დამარცხებას უფრო ღირსეულად შევხვდებოდი.

მეთევზემ ზღვაში ბავშვი დაიჭირა

ახალ ზელანდიაში მეთევზემ ზღვიდან 18 თვის ბავშვი ამოიყვანა, რომელიც მშობლებს გაეპარა.

გუს ჰატმა ტალღებში მცურავი პატარა ბავშვი შენიშნა, როდესაც პლაჟზე სათევზაო ანკესებს ამოწმებდა. მან ბავშვს ხელი სტაცა და წყლიდან ამოიყვანა.

– მაშინაც კი ვფიქრობდი, რომ ის მხოლოდ თოჯინა იყო, – იხსენებს მამაკაცი, – სახე ფაიფურისას უგავდა, თმები სველი ჰქონდა. ამ დროს მან ჩუმად დაასლოკინა. „ღმერთო ჩემო“ – გავიფიქრე მე, ბავშვია, თანაც ცოცხალი.

ჰატმა ბიჭი იქვე მოშორებით მდებარე კარვების ბანაკში მიიყვანა. ბანაკის ხელმძღვანელის რებეკა სოლტერის თქმით, ბავშვი ძალიან ფერმკრთალად გამოიყურებოდა, ხოლო თმები და ტანსაცმელი ქვიშით ჰქონდა სავსე.

– მაშინვე სახლში გავიქეცი და პირსახოცები და ოდეალები მოვიტანე მის გასამშრალებლად და გასათბობად, – განაცხადა ქალმა.

როგორც გაირკვა, ბავშვის მშობლებს ბანაკში ეძინათ და არ შეუნიშნავთ, თუ როგორ გაძვრა ის კარვიდან. მან ზღვამდე მიაღწია, წყალში ჩავარდა და დაახლოებით 15 მეტრის გაცურვა შეძლო.

– მე იქ რომ არ ვყოფილიყავი, ან თუნდაც ოდნავ დაგვიანებით მივსულიყავი, მას ვეღარ დავინახავდი, – განაცხადა მეთევზემ.

ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი გასინჯვის შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ ის არ დაშავებულა. პოლიცია მშობლების პასუხისგებაში მიცემას არ აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რობერტ სტურუა საბერძნეთში დაჯილდოვეს

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა საბერძნეთში დაჯილდოვეს.

რეჟისორს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელნაკეთი ზეთისხილის ხე აჩუქეს.

რუსთაველის თეატრი დიმიტრიას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა საბერძნეთისთვის და განსაკუთრებით ქალაქ სალონიკისთვის.

სალონიკის მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ 53-ე დიმიტრიას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე რუსთაველის თეატრმა რობერტ სტურუას სპექტაკლი „მარია კალასი. გაკვეთილი“ წარმოადგინა.

წარმოდგენა რეჟისორმა ტერენს მაკნალის პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მთავარ როლს რუსთაველის თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი ასრულებს.

ნოდარ ნიკოლაიშვილმა გარდაცვლილ შვილს სიმღერა მიუძღვნა

კომპოზიტორმა ნოდარ ნიკოლაიშვილმა რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილ შვილს ლაშა ნიკოლაიშვილს სიმღერა მიუძღვნა.

სიმღერა მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა შეასრულა, რომლისთვისაც ტექსტი პოეტმა ნანა ცინცაძემ დაწერა.

„დრო მიდის, გვითვლის ნაბიჯებს... და უკან აღარ ბრუნდება, ღმერთო, მიეცი ჩვენს შვილებს მეორედ მოსვლის უფლება“, – ასეთია სიმღერის ტექსტი.

ნოდარ ნიკოლაიშვილის ახალ სიმღერაზე თემურ ნიკოლაიშვილმა, მიშა შაყულაშვილმა, ირაკლი მენთეშაშვილმა, ზაზა თაბაგარმა და ზაზა სანიკიძემ იმუშავეს.

ცხინვალის თეატრის „ალი და ნინო“ მარნეულში გათამაშდება

პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში ცხინვალის თეატრის ორმოქმედებიანი დრამა „ალი და ნინო“ მარნეულის კულტურის ცენტრში 9 ნოემბერს გათამაშდება.

ყურბან საიდის რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის რეჟისორი გოჩა კაპანაძეა. წარმოდგენა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ეძღვნება. სპექტაკლის ინსცენირების ავტორები მანანა გეგეჭკორი და გოჩა კაპანაძე არიან, მხატვარი – ლომგულ მურუსიძე, კოსტიუმების მხატვარი – ქეთევან ციციშვილი, ქორეოგრაფი – ნინო მახათელი, კომპოზიტორი – სანდრო თედიაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ ცოტნე ხუბუტია, ნუცა მესტუმრიშვილი, ანი საბო, გიორგი რევაზიშვილი, თინათინ კობალაძე, რამაზ ხომასურიძე, ანა ხურციძე, მელიქ ნახარარიანი, ცოტნე მეტონიძე, ნინო ვადაჭკორია, რევაზ გიორგობიანი, ლევან საბაშვილი, გიორგი ელიჯარაშვილი და გოგიტა კოხრეიძე.

„ალი და ნინო“ ორი ახალგაზრდა, აზერბაიჯანელი ალი ხანშირვანშირისა და ქართველი ნინო ყიფიანის სიყვარულის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს. მოქმედება პირველი მსოფლიო ომის ფონზე ვითარდება.

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ არის ინიცირებული, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და სახელოვნების განათლების დონის ამაღლება, შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ პროექტის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და პანკისის ხეობაში.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა წიგნად გაერთიანდა



ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ერთ წიგნად გაერთიანდა. კრებულში შესულია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 100 ხელნაწერის სამეცნიერო აღწერილობა, რომელიც შედგენილია ახალი სტანდარტებით.

ხელნაწერთა შორისაა IX-XIX საუკუნეების სასულიერო და საერო ხასიათის ცალკეული თხზულებები და კრებულები, ქართული ორიგინალური და ნათარგმნი კრებულები, რომლებიც შესრულებულია ასომთავრულით, ნუსხურითა და მხედრულით. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ქართულ ხელნაწერთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელთა აღწერილობები ბოლოს 1950 წელს გამოიცა.

ხელნაწერთა ახალი სტანდარტებით აღწერის პროექტი 4 წლის წინ დაიწყო. ამ პროცესში გამოვლინდა ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე: პალიმფსესტური ფურცლები, ახალი ანდერძ-მინაწერები, სამეცნიერო წრეებისთვის კარგად ცნობილი ტექსტების შემცველი ახალი ხელნაწერები... ხელახლა გადაინომრა და აიკინძა ორმოცამდე ხელნაწერი, მათი ნაწილი გადათარიღდა და დაზუსტდა სათაურები; ცალ-ცალკე იქნა აღწერილი ერთ ხელნაწერში გაერთიანებული სხვადასხვა ნუსხის ფრაგმენტი.

გამოსაცემად უკვე მზადდება ხელნაწერთა აღწერილობების მეორე ტომი. ხელნაწერთა აღწერილობები შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნიამ, თეონა გელაშვილმა, მაკა კირვალიძემ, ვერა შენგელიამ და მანანა ჭუმბურიძემ.

ნუცა ბუზალაძემ გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ 4000 ლარი მოიგო

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ 4000 ლარი მოიგო:

– მოვიგე 4000 ლარი და ამ თანხით დავეხმარებით სვანეთის სოფელ კალაში მდებარე სკოლას, სადაც 11 ბავშვი სწავლობს. მადლობა ამ გადაცემის შექმნისთვის პირველ არხს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7656

ევრო — 3.1766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.639

100 რუსული რუბლი — 4.1953

ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისთვის



ბელა ჰადიდის გარეგნობამ ფანები შეაშფოთა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის საცვლების ახალ კოლექციაში გამოწყობილია აღბეჭდილი.

– მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როდესაც მთელ ამ უმშვენიერესს კოლექციას იხილავთ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ისევ მივიღებ მონაწილეობას შოუში, თავს ისე, როგორც არასდროს, ბედნიერად და ჯანმრთელად ვგრძნობ, – დაწერა ჰადიდმა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

სამაგიეროდ, მისი ასეთი ამაღლებული განწყობა არ გაიზიარეს სოციალური ქსელის მომხმარებლებმა.

– რა დაემართა? ის სრულიად ჯანმრთელი და უნაკლო იყო, ხოლო როგორც ახლა გამოიყურება, სამწუხაროა, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ჯანმრთელად ნამდვილად არ გამოიყურები, – აღნიშნა თავის კომენტარში მეორე თაყვანისმცემელმა.

– ის, რასაც ვხედავთ, თუ კარგი ფორმა და სიჯანსაღეა... არ ვიცი, მე ამას ვერ ვუყურებ, – წერს მესამე ფანი.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ამ დროისთვის სუპერმოდელის ფოტოსურათს ორ მილიონამდე მოწონება აქვს მიღებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მამაკაცი თეატრის სალაროსთან მიდის და მოლარეს ეუბნება:

– გამარჯობათ, იცით, ცოლმა გამომგზავნა ბილეთების საყიდლად და ოპერის სახელწოდება დამავიწყდა... მგონი მარტორქებზეა.

– რაღაც გეშლებათ, მასეთი ოპერა არ არსებობს.

– ან სპილოებზე?

– მომისმინეთ, ჩვენ თეატრში ამჟამად მიდის ვერდის ოპერები – ტოსკა და ბოჰემა...

– ჰოო, ზუსტად, ბეჰემოთებზეა!

●●●

მამაკაცი ექიმს შესჩივლებს:

– ექიმო, ქალები არ მაძღევენ... – და ხმამაღლა აქვითინდება.

დაბნეული ექიმი ექთანს მიუბრუნდა და ეუბნება:

– წყალი მიეცით.

– არ მივცემ!

●●●

დილით ადრე ტელეფონი რეკავს. ქალის ხმა კითხულობს:

– საყვარელო, ხომ არ გაცდენ? რითი ხარ დაკავებული?

– არა, რას ამბობ! სიზმარში სწორედ შენ ზარს ველოდებოდი!

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, არ ვიცი რა გავაკეთო. ცოლმა დაიჟინა, გინდა თუ არა როიალი ვარო.

– ასეთ შემთხვევაში ჩემთან უნდა მოიყვანოთ.

– რას ამბობთ ექიმო, თქვენ რა, გაგიჟდით! იცით რა ჯდება როიალის გადატანა?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენმა დამ რატომ გადაწყვიტა, რომ კბილის ექიმი გამოსულიყო?

– იმიტომ, რომ უყვარს, როდესაც კაცები პირდაღებულები და თვალცრემლიანები მისჩერებიან.

●●●

ავადმყოფი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მკურნალობას ვეღარ გავაგრძელებ...

– რატომ?

– ფული აღარ მაქვს.

– რა გაეწყობა, გამოჯანმრთელებას გილოცავ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

კრიშტიანო რონალდო: „მანჩესტერს, უბრალოდ, გაუმართლა“

კრიშტიანო რონალდომ მანჩესტერ იუნაიტედთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა.

რონალდოს აზრით, იუვენტუსი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და მანჩესტერს, უბრალოდ, გაუმართლა:

– ეს მატჩი უნდა მოგვეგო, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ბოლო წუთებზე კონცენტრაცია დავკარგეთ და ამის გამო დავისაჯეთ. ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, სადაც ყოველთვის ბოლო წუთამდე უნდა ითამაშო.

იუვენტუსი საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედთან 1:2 დამარცხდა.

რონალდინიოს პასპორტი ჩამოართვეს

ბრაზილიელ ლეგენდა რონალდინიოს სასამართლომ პასპორტი ჩამოართვა, რადგან მას 2 მილიონი ევრო მართებს სახელმწიფოსთვის.

ბრაზილიელი ვარსკვლავი იმისთვის დააჯარიმეს, რომ მან თევზსაჭერი ობიექტი აკრძალულ ადგილას ააშენა, რამაც ეკონომიკური ზიანი გამოიწვია.

თვითონ რონალდინიო ამბობს, რომ ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მან პოლიტიკური კარიერა დაიწყო და ამის გამო ებრძვიან.

რაჰიმ სტერლინგმა შახტარს ბოდიში მოუხადა

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა რაჰიმ სტერლინგმა შახტართან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მასზე დანიშნული პენალტი არ იყო სწორი და ამის გამო მან შახტარს ბოდიშიც მოუხადა.

– იმ ეპიზოდში ბურთთან ერთად მივრბოდი და რაღაცას ფეხი წამოვკარი. მგონი, ეს მოედანი იყო და არა მეტოქე ფეხბურთელის ფეხი, თუმცა იმ მომენტში მაინც წავიქცეოდი. ვფიქრობ, პენალტი არ იყო, ამიტომ მინდა, შახტარს ბოდიში მოვუხადო, – განაცხადა სტერლინგმა. რთული სათქმელია, მიიღებს თუ არა შახტარი ამ ბოდიშს, რადგან მან შეხვედრა 0:6 წააგო.

კოუტინიო ორ კვირას გამოტოვებს

ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ მცირე ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, ორ კვირას გამოტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კოუტინიო ბეტისის წინააღმდეგ არ ითამაშებს და ბრაზილიის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება.

24 ნოემბერს ბარსელონას მნიშვნელოვანი მატჩი აქვს სტუმრად მადრიდის ატლეტიკოსთან და კოუტინიო, სავარაუდოდ, ამ თამაშში მონაწილეობას მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ტრავმირებულია ლიონელ მესიც, მაგრამ მან ტრავმა თითქმის მოირჩინა და, შესაძლოა, ბეტისთან ის მოედანზე ვიხილოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვორდი 2



შვეულად: 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 2. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. რეგიონი კახეთში; 6. ძალიან იშვიათი ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. კროსვორდის გამომგონებელი; 18. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

თარაზულად: 1. ერთ-ერთი კონტინენტი; 4. მოხატული და მოჭიქული თიხის ჭურჭელი; 7. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. ოქროს ან ვერცხლის ძაფი; 13. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 15. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 17. იტალიური ტელეკომპანია; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. საჭმელი სოკო; 21. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა